645
1972

ეროვნული ბიბლიოთეკა



# საქართველოს ქალი

მარტი
№ 3 1972 წ.



მედიცინის მეცნიერებათა დოქტორები
ი. ზავოდსკაია და ე. მორევა.

ფოტო ნ. მატორინისა

# ჩუმად! მიმდინარეობს ექსპერიმენტი...

როცა ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტის დირექტორი, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი ნატალია პეტრეს ასული ბეხტერევა ინსტიტუტის მუშაობის ძირითად მიმართულებებზე მიამბობდა, მან საინტერესო მეცნიერი ქალები დამისახელა, კერძოდ, მირჩია აუცილებლად გავცნობოდი მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებს: ირინე სერგის ასულ ზავოდსკაიას და ელენე ვიქტორის ასულ მორევას.

მათ და მათ კოლეგებს ეკუთვნით ფარმაკოლოგიის დარგში აღმოჩენა, რომელიც ამას წინათ სსრკ მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა აღმოჩენებისა და გამომგონებლობის კომიტეტმა დაამტკიცა.

მაგრამ სანამ აღმოჩენაზე ვიტყოდეთ რამეს, მოვიყვან რამდენიმე მაგალითს:

...დაზარალებული საავადმყოფოში მოიყვანეს თავის ქალის ტრავმით. მძიმე ოპერაციამ წარმატებით ჩაიარა. ადამიანი გამოჯანმრთელდა, დაუბრუნდა ოჯახს, სამუშაოს. და

## ერთიან ქმურ ოჯახში

უცბად — მიკროინფარქტი! რა არის ეს? უბრალო დამთხვევა თუ მთელი ორგანიზმის ძლიერი ნერვული შერყევის შედეგი?

...მამაკაცმა გადაწყვიტა ოჯახი მიეტოვებინა ახალი სიყვარულის გამო. მაგრამ ის, რაც აქამდე ასეთი სასურველი და გაცისკროვნებული ეჩვენებოდა, ახლა ბავშვების წინაშე დანაშაულის მტანჯველმა გრძნობამ მოწამლა. დაგროვდა გაღიზიანება, უკმაყოფილება თავის თავისა და სხვების მიმართ, უსასოობა. და უცებ ღვიძლმა დაუწყო ტკივილი, რომელსაც ადრე არასოდეს შეუწუხებია. შეტევას შეტევა მოსდევდა. შემთხვევით... ეს თუ ნერვული გადაღლის შედეგი?

ამ მოვლენათა შორის ურთიერთკავშირის დასადგენად ასეთი ექსპერიმენტი დაგვეხმარება:

საცდელი თაგვი ფიცარზეა გართხმული. მის ერთ-ერთ თათს სუსტი დენი შეუერთეს. თაგვის სიცოცხლისათვის ეს საშიში არ არის. თუმც რა თქმა უნდა, ძალდატანებითი გაშეშებული პოზა და დენის ჩხვლეტები ცხოველისთვის უსიამოვნოა. რამდენიმე საათის შემდეგ ხელსაწყოებმა თაგვის კუჭში ერთი წყლული აღმოაჩინა, შემდეგ მეორე, მესამე...

აქ უკვე აღარ შეიძლება ლაპარაკი არავითარ შემთხვევით დამთხვევაზე. ცდების სერიები განმეორდა ათჯერ, ასჯერ და ჯანმრთელი ცხოველის ორგანიზმი სერიოზული „განერვიულების" შემდეგ ყოველთვის აჩვენებდა ამა თუ იმ ორგანოს პათოლოგიურ ცვლილებებს. ექსპერიმენტატორთა ენით რომ ვთქვათ, ასე დაამუშავეს ნეიროგენული დისტროფიის მოდელები, ესე იგი, ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლის დარღვევა.

სხვათა შორის, მას შემდეგ, რაც ფოტოებზე წყლულების თანდათან მზარდი წერტილები ვნახე, დამაჯერებელი კონკრეტულობა შეიძინა ექიმთა მუდმივმა შეგონებამ: „ჩაიხშეთ უარყოფითი ემოციები" და პროფესორმა ირინე სერგის ასულმა ზავოდსკაიამ, რომელიც მშვიდად იმზირებოდა სათვალის ლინზებიდან, სწორედ აქედან დაიწყო საუბარი:

— რა ხშირად არ ინდობენ ადამიანები თავიანთ თავს, ახლობლებს და ბავშვებსაც კი! მტკნარი სიცრუეა ეს რუსული ანდაზა: „შეყვარებულები ჩხუბობენ — გულს აყოლებენო". ჩხუბობენ! — ეს ნიშნავს რომ ჯანმრთელობასართმევენ ერთმანეთს, ყველაზე ახლობელ, ძვირფას ადამიანს. ნერვული სისტემა უფაქიზესი ინსტრუმენტია. ზოგიერთები კი ისე იქცევიან, თითქოს კლავიშებს ტორებით უბრაგუნებენ.

„საქართველოს ქალი"
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.

რა ხდება ორგანიზმში განსაკუთრებული ნერვული გაღიზიანებისას?

ქსოვილებში ნივთიერებათა ცვლას სიმპათიკური ნერვები აწესრიგებენ. სწორედ მათ გადააქვთ ყველა ორგანოში იმპულსები — ბრძანებები. იმპულსების გადამცემის როლს ასრულებს განსაკუთრებული ნივთიერება — ნორადრენალინი. ხატოვნად რომ ვთქვათ, ნორადრენალინის მოლეკულები მაცნეები არიან, რომლებსაც ბრძანებები მიაქვთ ორგანიზმის ყველა უჯრედში. მაგრამ აი, მოხდა ნერვული ჩავარდნა. სად გაქრა მაცნეთა შემსრულებლობა? ზუსტი ხელმძღვანელობის ნაცვლად, მათ შეაქვთ უჯრედების ცხოვრებაში პანიკური არეულობა, მაცნეები ბევრია, ისინი გროვდებიან ნერვულ დაბოლოებებზე. უჯრედებისაკენ კი უკვე ახალი მაცნეები მიიჩქარიან.

ნორადრენალინის სიჭარბე უბედურებაა. ეს მტკიცება დიდი ხანია მედიცინაში ჭეშმარიტებად იქცა. მეცნიერები თავს იტეხდნენ პრობლემაზე: როგორ მოესპოთ ნერვული გაღიზიანების დროს მაცნეთა სიჭარბე უჯრედებში? კვლევა-ძიებაში გავიდა დღეები, თვეები, წლები.

ირინე სერგის ასული ზავოდსკაია ექსპერიმენტული მედიცინის ინსტიტუტში 1948 წლიდან, პრაქტიკულად ფარმაკოლოგიის განყოფილების შექმნიდან არის. აქ იგი სტუდენტის მერხიდან მოვიდა და ლაბორანტად დაიწყო მუშაობა. დღეს კი ლაბორატორიის ხელმძღვანელია. მედიცინის მეცნიერებათა დოქტორს ზავოდსკაიას ლექციების წასაკითხად იწვევდნენ ინგლისში, საფრანგეთში, იტალიაში.

ელენე ვიქტორის ასული მორევაც ოც წელზე მეტია აქ მუშაობს. ისინი რაღაცით ჰგვანან ერთმანეთს. არა, გარეგნულად არა: ირინე სერგის ასული ქალურია, მშვიდი მიხრა-მოხრა აქვს, სათვალის მინის მიღმა მოულოდნელად დაიჭერ მომცინარ ნაპერწკლებს. ელენე ვიქტორის ასული კი ქალიშვილივით ტანკენარია, ფერფლისფერი თმა ვაჟურად შეუკრეჭია. დოქტორის სოლიდურობა არ გააჩნია. მაგრამ ხომ ამბობენ, როცა ადამიანები დიდხანს ცხოვრობენ ერთად, ერთმანეთს ემსგავსებიან კიდეცო. აქაც ასეა. მათ დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ — ჯერ კიდევ იმ მძიმე ომის შემდგომი წლებიდან, როცა მთელი განყოფილება ორ პაწაწა ოთახში იყო შეყუჟული, როცა ცდებისთვის სანაგვეებსა და ბნელ შესახვევებში უპატრონო კატებს იჭერდნენ — ეჰ, მათ სინდისს ეს ცოდვა ამძიმებს. ერთად ყოფნის წლებმა გამოუმუშავა მათ ხასიათის სიმტკიცე, ისეთი ზედმიწევნითი აკურატულობა, ურომლისოდაც წარმოუდგენელია მეცნიერული პატიოსნება, რაც გამორიცხავს ნაჩქარევ დასკვნებს: ცდებისაგან არ ელი იმ თეორიული მიგნების აუცილებელ დადასტურებას, რომელიც შენ გაღელვებს (არა და, ასე რომ გინდა დაადასტურო ეს მიგნება ფაქტებით!)

სერგეი ვიქტორის ძე ანიჩკოვი, სათაყვანებელი მასწავლებელი, განყოფილების ხელმძღვანელი, ხუმრობს კიდეც მათ ასეთ მსგავსებაზე: ჩაცმითაც კი ერთნაირად იცვამთ, საკვირველია, რომ მსგავსი ქმრები ვერ აირჩიეთ. ლოგიკური იქნებოდა, ერთი იდეალი გეპოვნათო... სერგეი ვიქტორის ძეს ამ ქილიკობას პატიობენ. მეცნიერებათა დოქტორები მისთვის ისევ ის გოგონები არიან, რომლებსაც ერთ დროს არც კი სჯეროდათ თავიანთი ბედნიერება, რომ მუშაობდნენ მასთან, მსოფლიოში ცნობილ აკადემიკოსთან, საზღვარგარეთის რამდენიმე უნივერსიტეტის საპატიო დოქტორთან, ფარმაკოლოგთა საერთაშორისო კავშირის საპატიო პრეზიდენტთან.

სერგეი ვიქტორის-ძის საყვარელი აფორიზმია: „ადამიანს ბედნიერებისათვის სამი რამ სჭირდება — საყვარელი ადამიანი, საყვარელი სამუშაო და უშურველობა“. ეს სიტყვები განყოფილებაში დევიზად არის ქცეული. თვით ანიჩკოვი არც დიდ, არც პატარა ამბავში არასდროს არ აძლევს თავის მოწაფეებს საბაბს, რომ ეჭვი შეეპაროთ მასში.

...ცდების ერთი სერია, მეორე, მესამე... ექსპერიმენტატორები სრულიად ახალ ტექნიკას ეუფლებიან. უჯრედებში ნორადრენალინის არსებობას იკვლევენ უკვე ატომებით და სხვა მეთოდებით. გამოყენებულია აგრეთვე ბიოფიზიკოსთა აღმოჩენები: გამორკვეულია, რომ ორგანიზმის ყველა უჯრედს ახასიათებს უსუსტესი ნათება — ლუმინესცენცია, მაგრამ განსაკუთრებით მკვეთრ, სურათზე შესამჩნევ ნათებებს იძლევა ნორადრენალინის თავმოყრა (სურათებს ელექტრონული მიკროსკოპის შემწეობით იღებენ).

მე მრავალი ფოტოსურათი დავათვალიერე, რომლებიც ექსპერიმენტატორთა შეუპოვარ ძიებებზე, მათ ეჭვებსა და მიგნებებზე ჰყვებიან.

აი, თაგვის კუჭის უჯრედებში ნათლად გამოიხატა განათებული ნაპირები, საცდელ ცხოველს დენით გაღიზიანება დაუწყეს. მაცნეები ყველა ორგანოსაკენ გაცვივდნენ. მათ შორის კუჭისკენაც, დაგროვდნენ ნერვულ დაბოლოებებზე. ჯერ კუჭში კიდევ არ მომხდარა პათოლოგიური ცვლილებები. დენი აგრძელებს ცხოველის „განერვიულებას“ და სურათები გვიჩვენებენ, რომ ნათელი უბნების რაოდენობა უჯრედებში თანდათანობით სულ უფრო მცირდება, განათება სუსტდება. რაშია საქმე? სად წავიდა ნორადრენალინის სიჭარბე? ახლა ის უჯრედებში ნორმაზე ნაკლები რაოდენობითაა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ფოტოსურათები სრულიად ერთფეროვანი, როგორც ამბობენ, ყრუა. ნათება ძლივძლივობით შეიმჩნევა. ორგანიზმი კი კვლავინდებურად განსაკუთრებით გაღიზიანებულ მდგომარეობაშია, კუჭის წყლულიც თვალდათვალ იზრდება.

მაშასადამე, ნორადრენალინის სიჭარბე მხოლოდ ნერვული გაღიზიანების პირველი ეტაპისთვის ყოფილა დამახასიათებელი. შემდეგ კი ნივთიერებათა ცვლას უჯრედებში არღვევს არა ნორადრენალინის სიჭარბე, არამედ უკმარისობა.

მათ თვითონ არ სჯეროდათ თავიანთი თავის. თავიდან კითხულობდნენ მეცნიერულ ლიტერატურას, ეძებდნენ ანალოგიურ შემთხვევებს საზღვარგარეთელი მეცნიერების გამოკვლევებში. ყველგან იყო ლაპარაკი ნორადრენალინის მხოლოდ სიჭარბეზე. როდესაც ექსპერიმენტების შედეგები ანიჩკოვს მოახსენეს, სერგეი ვიქტორის ძემაც არ დაიჯერა მაშინვე: „მოდით, გადავხედოთ თავიდან“. ის გამოკვლევებში ახალგაზრდული აღტკინებით ჩაერთო, „ბარაქალა, რა ყოჩაღები ხართ, რა ჭკვიანები“! ანიჩკოვმა მხარი დაუჭირა თავისი მოწაფეების ვარაუდებს ფართო გამოკვლევებით. მედიკებისთვის არ კმარა ფაქტის აღნიშვნა... საჭიროა კიდევ, რაც შეიძლება სწრაფად გამოიძებნოს ადამიანის ორგანიზმის დასაცავად ჰუმანური ჩარევის, მკურნალობის გზები.

რა საშუალებით შეიძლება განსაკუთრებული ნერვული დაძაბულობის მომენტში უჯრედში ნორადრენალინის რაოდენობის შენარჩუნება? რა თქმა უნდა, ყოველთვის არ შეიძლება წინასწარ მომზადებული შეხვდე მძაფრ განცდას. ვთქვათ, ადამიანი ავარიაში მოხვდა ან რაიმე მოულოდნელი უბედურება დაატყდა. მაგრამ ხომ შეიძლება შემდეგ მკურნალობის პროცესში, როცა, როგორც ჩვენ უკვე ვიცით, უჯრედებში ნორადრენალინის მარაგი გამოლეულია, მისი შევსება? სცადეს დამატებით შეეყვანათ ნორადრენალინი ორგანიზმში. მაგრამ წარუმატებლად — შეყვანილი მაცნეები არ ჩერდებოდნენ უჯრედებში, არ მონაწილეობდნენ ნივთიერებათა დარღვეულ ცვლაში, მისი ნორმალიზაცია არ სურდათ.

მაგრამ თუ ორგანიზმში ისეთ პრეპარატს შევიყვანთ, რომელიც სტიმულს მისცემს მაცნეების წარმოქმნას თვით ორგანიზმში, და ამასთან, წარმოქმნის ნორადრენალინს ნორმის მკაცრ საზღვრებში, არც მეტს (ეს საზიანოა), მაგრამ არც ნაკლებს (ესეც საზიანოა)?

დღეს ცნობილია ამგვარი პრეპარატები, დავუშვათ, ადამიანს სერიოზული ოპერაციისათვის ამზადებენ, რომელიც აუცილებლად გამოიწვევს უკიდურეს ნერვულ გაღიზიანებას. მაგრამ ნეიროგენურ დისტროფიას, ანუ ნივთიერებათა ცვლის დარღვევას იმ ორგანოებში, რომლებსაც ოპერაცია არ შეხებია, ადგილი არ ექნება, რადგან ავადმყოფის ორგანიზმში წინასწარ შეჰყავთ პრეპარატი, რომელიც ახდენს სიმპათიკური ნერვების ბლოკირებას. ორგანიზმის უჯრედები ვეღარ მიიღებენ ინფორმაციას იმ ნერვული რყევის შესახებ, რომელიც მასში ხდება, — ნორადრენალინის მოლეკულები ორგანოებში ნორმალური, მკაცრად განსაზღვრული რაოდენობით გროვდება. არაფერი განსაკუთრებული არ ხდება, მშვიდად იმუშავეთ, უჯრედებო, შთანთქეთ აუცილებელი ნივთიერებანი, გამოჰყავით უვარგისი, ისუნთქეთ!

ტ. რიაბიკინა

# კომუნიზმის თანამებრძოლები



ნადეჟდა კონსტანტინეს ასული კრუპსკაია (1869-1939) — ვლადიმერ ილიას ძე ლენინის უახლოესი თანამებრძოლი, ერთგული მეგობარი და მეუღლე. 1890 წელს შევიდა პეტროგრადის სტუდენტთა მარქსისტულ წრეში. ამ დღიდან ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მთელ თავის ძალ-ღონეს ახმარდა მარქსიზმ-ლენინიზმის საქმეს, ეწეოდა დიდ პარტიულ და სახელმწიფოებრივ მოღვაწეობას. გამოჩენილი პედაგოგი მრავალი წლის მანძილზე მუშაობდა რსფსრ-ს განათლების მინისტრის მოადგილედ.



მარია ილიას ასული ულიანოვა (1878-1937) — პარტიის რიგებში შევიდა 1898 წელს. ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით აქტიურად მონაწილეობდა გაზეთ „ისკრის" ორგანიზაციის საქმეში, გაზეთისა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი პარტიის შექმნასა და განმტკიცებას, მარია ილიას ასული იყო გაზეთ „პრავდის" მდივანი და სარედაქციო კოლეგიის წევრი, თავმჯდომარეობდა საბჭოთა კონტროლის კომისიის საჩივრების ბიუროს.



ალექსანდრა მიხეილის ასული კოლონტაი (1872-1952) — ერთ-ერთი იმ შესანიშნავ რევოლუციონერ ქალთაგანი, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს რუსეთის მშრომელი ქალების ორგანიზაციას. პარტიაში შევიდა 1915 წელს. იგი იყო პირველი ქალი, რომელიც საბჭოთა მთავრობის შემადგენლობაში იქნა არჩეული. ალექსანდრა მიხეილის ასული წლების მანძილზე მუშაობდა დიპლომატად, საბჭოების ქვეყნის წარმომადგენლად ნორვეგიასა, მექსიკასა და შვეციაში.



ინესა თედორეს ასული არმანდი (1875-1920) — პარტიის წევრი 1904 წლიდან. იგი ეკუთვნის საერთაშორისო ქალთა დემოკრატიული მოძრაობის მგზნებარე მოღვაწეთა რიცხვს, იყო ჟურნალ „რაბოტნიცას" საზღვარგარეთ მომუშავე ჯგუფის წევრი. ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ინესა თედორეს ასული პარტიის მოსკოვის კომიტეტის წევრია. იგი იყო კომინტერნის პირველი და მეორე კონგრესების აქტიური მონაწილე.







**ანა ილიას ასული ელიზაროვა-ულიანოვა** (1864-1935) — პარტიაში შევიდა 1898 წელს. ფასდაუდებელ დახმარებას უწევდა ვლადიმერ ილიას-ძეს მისი თხზულებების მომზადებისა და გამოცემის საქმეში. ასრულებდა სერიოზულ პარტიულ დავალებებს საზღვარგარეთ. ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ხელმძღვანელობდა სახალხო განათლების კომისარიატის ბავშვთა დაცვის განყოფილებას, იყო ჟურნალ „პროლეტარული რევოლუციის" სარედაქციო კოლეგიის წევრი და ჟურნალ „რაბოტნიცას" რედაქტორი.

**ელენე დიმიტრის ასული სტასოვა** (1873-1966) — პარტიის წევრი 1898 წლიდან, რუსეთისა და საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე, ბოლშევიკური იატაკქვეშეთის აქტიური მონაწილე, „ისკრის" აგენტი, რსდმპ-ს ცენტრალური კომიტეტის წევრობის კანდიდატი და ცენტრალური კომიტეტის რუსეთის ბიუროს მდივანი იყო. დიდი ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ელენე დიმიტრის ასულს ეკავა პარტიაში პასუხსაგები პოსტები, მუშაობდა კომინტერნში, ხელმძღვანელობდა რემედასს. ელენე სტასოვამ დიდი წვლილი შეიტანა ომის წინააღმდეგ მსოფლიო მოძრაობის საქმეში.

**როზალია სამოილის ასული ზემლიაჩკა** (1876-1947) — 1896 წელს, 20 წლის გოგონამ თავისი ცხოვრება დაუკავშირა პარტიას. 21 წლისა არჩეული იქნა რსდმპ-ს კიევის კომიტეტის წევრად. ოქტომბრის დღეებში ხელმძღვანელობდა მოსკოვის როგოჟესკო-სიმონოვის რაიონის მუშათა შეიარაღებულ ბრძოლას. სოციალიზმის მშენებლობის წლებში როზალია სამოილის ასული მუშაობდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის მოადგილედ.







**კონკორდია ნიკოლოზის ასული სამოილოვა** (1876-1921) — კომუნისტური პარტიის წევრი 1903 წლიდან, ქალთა საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე. მისი ხელმძღვანელობით ჩატარდა რუსეთში 1913 წელს ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის სამზადისი. სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე კონკორდია ნიკოლოზის ასული ეწეოდა რევოლუციურ მუშაობას მუშა და გლეხ ქალთა შორის.

**კლავდია ივანეს ასული კირსანოვა** (1888-1947) — პროფესიონალური რევოლუციონერის გზას დაადგა 1905 წლის რევოლუციის წინა პერიოდში. იგი ეკუთვნოდა იმათ რიცხვს, ვინც დაამყარა საბჭოთა ხელისუფლება ურალში. 1922 წელს კ. კირსანოვა ხელმძღვანელობდა სვერდლოვის სახელობის კომუნისტურ უნივერსიტეტს, დიდ მუშაობას ეწეოდა ქალთა შორის დიდი სამამულო ომის წლებში.

**კლავდია ივანეს ასული ნიკოლაევა** (1893-1944) — პარტიაში შევიდა 1909 წელს და მალე პეტროგრადელი ქალების ორგანიზატორი გახდა. იყო სრულიად რუსეთის მუშა და გლეხ ქალთა ყრილობის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. არაერთხელ იყო არჩეული პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად. მრავალი წლის მანძილზე კლავდია ივანეს ასული მუშაობდა საკავშირო პროფსაბჭოს მდივნად.




რუკა შედგენილია სკკპ XXIV ყრილობის დირექტივების საფუძველზე

# ახალი ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი მშენებლობანი

რუკის კომენტატორია სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან არსებული საწარმოო ძალების შემსწავლელი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, ეკონომიურ მეცნიერებათა დოქტორი ა. ა. ივანჩენკო.

Пролетарии всех стран, соединяйтесь!
РАБОТНИЦА
Журнал основан 8 марта 1914 года

თქვენს წინ ჩვენი ვრცელი ქვეყნის რუკაა. მასზე სქემატურად ნაჩვენებია მეცხრე ხუთწლედის უმნიშვნელოვანესი ახალმშენებლობანი.

გასულ ხუთწლედში მწყობრში ჩადგა 1.900 მსხვილი სამრეწველო საწარმო და ობიექტი, ხოლო 1971-1975 წლებში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დირექტივებით დასახულია ახალ სამრეწველო მშენებლობათა გრანდიოზული პროგრამა. პროგრამა მოიცავს სახალხო მეურნეობის ყველა დარგს. მაგრამ უსწრაფესი ტემპით განვითარდება ისეთი პროგრესული დარგები, როგორიცაა ელექტროენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა, ქიმიური მრეწველობა, სახალხო მოხმარების საქონლის მწარმოებელი მრეწველობა. ახალმშენებლობათა ეს ვრცელი პროგრამა შესრულდება ჩვენი ქვეყნის ყველა ეკონომიური რაიონის მონაწილეობით. ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში ესა თუ ის დარგი განვითარდება ბუნებრივი და ეკონომიური პირობების შესაბამისად.

როგორც მეცხრე ხუთწლედის მშენებლობათა რუკაზე ჩანს, განზრახულია ჩვენი ქვეყნის რაიონების — ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, ყაზახეთისა და შუა აზიის უსწრაფესი ეკონომიური ზრდა. სრულყოფილად გამოვიყენებთ მათ კოლოსალურ ბუნებრივ რესურსებს: სათბობს, მინერალურ ნედლეულს, ჰიდროენერგიას, ხე-ტყეს.

სწორედ აღმოსავლეთ რაიონებში აიგება მსხვილი საწარმოები — ნავთობისა და გაზის მრეწველობისა — დასავლეთ ციმბირში, ყაზახეთსა და შუა აზიაში; გაზგადამამუშავებელი და ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები — დასავლეთ ციმბირში, მანგიშლაკზე, ჩარჯოუს და ჩიმკენტის რაიონებში; ნავთობქიმიური კომპლექსები — ტობოლის, ტომსკის რაიონებში და შუა აზიაში; ფერადი მეტალურგიის საწარმოები — კრასნოიარსკში, ბრატსკში, საიანის რაიონში და შუა აზიაში.

მათი მშენებლობისა და ამუშავებისათვის საჭიროა მძლავრი ელექტროენერგია, რაც გათვალისწინებულია დირექტივებში: აღმოსავლეთ რაიონებში აშენდება ახალი ჰიდრო და თბოელექტროსადგურები ციმბირის, შორეული აღმოსავლეთის, შუა აზიის კოლოსალური მდინარეების ძალებით. რუკაზე აღნიშნულია უდიდესი ჰიდროელექტროსადგურების ახალმშენებლობანი: უსტ-ილიმის, საიანის, ზეის, კოლიმის, ტოქტოგულის, ნურეკის.

მკვეთრად გადიდდება ქვანახშირის, კოქსისა და შავი ლითონების მოპოვება ციმბირში. ალტაის მხარეში მწყობრში ჩადგება მსხვილი კოქსქიმიური ქარხნის პირველი რიგი, დაიწყება სინთეტური ბოჭკოს ქარხნისა და რამდენიმე მანქანათმშენებელი ქარხნის მშენებლობა.

თვალუწვდენელია ციმბირისა და შორეული აღმოსავლეთის ტაიგები, აქ აშენდება და ამოქმედდება ხისდამამუშავებელი, ცელულოზ-ქაღალდისა და მიკრობიოლოგიური მრეწველობის ობიექტები.

მეცხრე ხუთწლედში ჩამოყალიბდება მსხვილი სამრეწველო ტერიტორიული კომპლექსები (რუკაზე შტრიხითაა აღნიშნული). კომპლექსები წარმოიქმნებიან სამრეწველო მშენებლობათა თავმოყრისათვის ხელსაყრელ ადგილებში. აიგება საიანის კომპლექსი, რომელშიც შედის საიანის ჰიდროელექტროსადგური, ალუმინის, ვაგონმშენებლობის, ფოლადსახსმელი ქარხნები, ფერადი ლითონების გადამამუშავებელი საწარმონი, ელექტროტექნიკური, მსუბუქი და კვების მრეწველობა. აღმოსავლეთ ციმბირში სწრაფად განვითარდება ბრატსკის კომპლექსი, რომელშიც შედის ჰიდროელექტროსადგური, ფერადი მეტალურგიის ქარხნები და ხე-ტყის მრეწველობის კომბინატები.

რუკაზე ჩანს სამრეწველო ახალმშენებლობათა თავმოყრა ყაზახეთსა და შუა აზიაში. იქმნება სამხრეთ ტაჯიკეთის სამრეწველო კომპლექსი. აქ, ამ ხუთწლედში ამოქმედდება ნურეკის ჰიდროელექტროსადგურის პირველი აგრეგატები. უკვე აგებულია ალუმინის ქარხანა და ელექტროქიმიური კომბინატის პირველი რიგი. იგეგმება სხვა საწარმოთა მშენებლობაც.

ურალის ეკონომიურ რაიონში და სსრკ-ის ევროპულ ნაწილში ცხოვრობს მთელი ქვეყნის მოსახლეობის სამ-მეოთხედზე მეტი. აქ თავმოყრილია უამრავი სამრეწველო საწარმო. პროდუქციის გამოშვება იზრდება არსებული ძლიერი მრეწველობის უკეთ გამოყენების ხარჯზე. მაგრამ აქაც იგეგმება ეკონომიურად ხელსაყრელი დარგების ახალი სამრეწველო საწარმოები. ამ რაიონში კიდევ უფრო განვითარდება ენერგეტიკა. დახედეთ რუკას: ცენტრალურ რაიონებს და

## ბელა ახმადულინა

## ქართველ ქალთა სახელები

ხეტიალობდნენ ზღვაზე აფრები...
მზე დეკემბრისა კვლავ იყო მწველი...
და მშვენიერმა ჭადრის ფოთლებმაც
ძალიან გვიან დაიწყეს ცვენა...

უერთდებოდა ტალღის ხმაური
ბაზრის ხმაურს და შორეულ ყაყანს...
ბაზალტისა და თოვლის ფერები
ცას შორს აჩენდნენ, შორსა და მაღალს...

და მარტოობდა ბაღში ჯიხური
(იქნებ, ასეთი ყოფნის მსურველიც),
დაჰკრავდა ქართველ ქალთა სახელებს
დამწიფებული ყურძნის სურნელი...

ჩურჩულად ქმნილნი გაიჭრებოდნენ
ზღვისკენ მინდვრებით, ლურჯი ქედებით,
მერე ნაპირთან მოცურდებოდნენ,
როგორც ზღაპრული შავი გედები...

მათებრ შვენოდათ ყელმოღერება,
და, ვით სულები ლურჯი ზღვისანი,
ტალღებს მისდევდა ზღვაში ლამარა,
ყვავილს იბნევდა თმაში ცისანა...

ჰგავდა ნათელა შორეულ ნათელს
და მიჰყვებოდა ქარს იმედებად...
ალივით გაშლილ ლამაზი თმებით
ამოდიოდა წყლიდან მედეა...

სურნელს აფრქვევდნენ ოლეანდრები,
ოლეანდრებით ცა იყო სავსე...
შორს ყრუდ ისმოდა ტალღის ხმაური,
ხეტიალობდნენ აფრები ზღვაზე.

თარგმნა ანა კალანდაძემ

# 30 წელი მშვიდობისათვი ბრძოლაში

30 წლის წინათ, 1941 წლის სექტემბერში, მოსკოვში, კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა ქალთა საკავშირო ანტიფაშისტური მიტინგი.

მიტინგის მონაწილეებმა, რომელთა შორის იყვნენ როგორც ზურგის მშრომელები, ისე სამამულო ომის წინა პოზიციებიდან ჩამოსული მებრძოლები, სანიტრები, პოლიტმუშაკები და პარტიზანები, მოწოდებით მიმართეს მსოფლიოს ქალებს:

„მოგმართავთ თქვენ, მიუხედავად თქვენი რელიგიისა, პოლიტიკური მრწამსისა თუ სოციალური მდგომარეობისა, მოგმართავთ საბჭოთა ქალების სახელით, მოვუხმობთ თქვენ გრძნობასა და გონებას საერთო საფრთხის თავიდან ასაცილებლად, საფრთხის, რომელიც მთელს კაცობრიობას ემუქრება...

მსოფლიოს ქალებო! შეჰქმენით ერთიანი ფრონტი პირსისხლიანი ჰიტლერიზმის წინაალმდეგ. ჩვენი ძალა და გამარჯვების საწინდარი ჩვენს ერთობაშია! ჩვენი საქმე სამართლიანია, მტერი დამარცხებული იქნება, ჩვენ გავიმარჯვებთ!"

ასე იქმნებოდა მეორე მსოფლიო ომის სუსხიან დღეებში მშვიდობისა და დემოკრატიის ძალების ერთიანი ფრონტი, ომისა და ფაშიზმის წინაალმდეგ. მასში ერთიანდებოდნენ მსოფლიოს ქალთა ფართო მასები. ფაშიზმთან ბრძოლაში იბადებოდა ქალთა მასობრივი დემოკრატიული ორგანიზაციები: საფრანგეთში, იუგოსლავიაში, რუმინეთში, ბულგარეთში, უნგრეთში, ფინეთში, იტალიაში, ჩინეთში, ინგლისში, ამერიკის შეერთებულ შტატებში...

გერმანულ ფაშიზმსა და იაპონურ მილიტარიზმზე გამარჯვების შემდეგ ახალი ამოცანები დაისახა მსოფლიოს ქალთა წინაშე: ებრძოლათ ფაშიზმის კვლავ აღმოცენებისა და მოსალოდნელი ომების თავიდან ასაცილებლად, ხალხთა შორის მშვიდობის დასამყარებლად, თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის, ებრძოლათ საზოგადოებაში კუთვნილი ადგილის მოპოვებისათვის, ებრძოლათ ბავშვთა სიცოცხლისა და ბედნიერებისათვის.

ამ ამოცანების განსახორციელებლად საჭირო იყო ქალთა ძალების კიდევ მეტად დარაზმვა და შემტკიცება. და, აი, 1945 წლის 1 დეკემბერს, შეიქმნა ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაცია, რომლის დაარსების ერთ-ერთი აქტიური ინიციატორთაგანი ქალთა ანტიფაშისტური კომიტეტი იყო (1956 წლიდან — „საბჭოთა ქალების კომიტეტად" წოდებული).

ამჟამად საბჭოთა ქალების კომიტეტს კავშირი აქვს მსოფლიოს 120 ქვეყნის ქალთა 216 ეროვნულ ორგანიზაციასთან, მსოფლიოს გამოჩენილ საზოგადო მოღვაწე ქალებთან, ქალთა სხვადასხვა საერთაშორისო და რეგიონალურ ორგანიზაციებთან — როგორებიცაა: მშვიდობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ქალთა საერთაშორისო ლიგა, იურიდიული პროფესიების ქალთა საერთაშორისო ფედერაცია, აზიისა და აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაცია, სრულიად აფრიკის ქალთა კონფერენცია, სრუ-

ურალში აშენდება და გაძლიერდება კიროშის, კოსტრომის, კაშირის, რიაზანის, ირიკლინის, რეფტინის და პეჩორის ელექტროსადგურები. მდინარეებზე — კამასა და ვოლგაზე აიგება ნიჟნე-კამისა და ჩებოქსარის მძლავრი ჰიდროელექტროსადგურები, განვითარდება ატომური ენერგეტიკა.

ევროპული ნაწილის ცენტრში ჩამოყალიბდება ახალი სამრეწველო ტერიტორიული კომპლექსი კურსკის მაგნიტური ანომალიის რკინა-მადნეულის საბადოს ბაზაზე. დაიწყება გაზის საბადოს დამუშავება და ბუნებრივი გაზის მოპოვება ორენბურგის ოლქში. გაიზრდება გაზისა და ნავთის მოპოვება კომის ასსრ-ში. აშენდება მინერალური სასუქების მძლავრი ქარხნები. ტულის ოლქში, მესამე ბერეზინასა და სოლიკამში — რთული სასუქების ქარხნები. ტოლიატში, ვოლუსკში, კაზანსა, უფასა და ნოვოჩებოქსარში — კალიუმის კომბინატები და ქიმიური საწარმოები. ჩვენი ქვეყნის ევროპული რაიონების სპეციალობა — მანქანათმშენებლობაა. ამ ხუთწლედში ის კიდევ უფრო განვითარდება. დამთავრდება ვოლჟსკის ავტოქარხნისა და სატვირთო ავტომანქანების ქარხნების კომპლექსის მშენებლობა თათრეთში. დაიწყება ჩებოქსარის სატრაქტორო ქარხნის პირველი რიგის მშენებლობა. ქალაქებში სუხინიჩსა და სასოვოში აიგება ჩარხმშენებელი ქარხნები.

ჩვენი ქვეყნის დასავლეთ რაიონებშიც — ბელორუსიაში და ბალტიისპირეთის რესპუბლიკებში აიგება მრავალი მსხვილი სამრეწველო საწარმო. აქ აშენდება და გაძლიერდება ლუკომლის, ლიტვისა და ესტონეთის ელექტროსადგურები, კაუნასის, რიგისა და ტალინის თბოელექტროსადგურები, ლიტვაში აიგება ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა, ბარანოვიჩში, ლუნიცაში, ბობრუისკში, ორშაში, პინსკში, რიგაში დიდი მანქანათმშენებელი ქარხნები. მოგილევში, გროდნოსა და სხვა ქალაქებში სპეციალიზაციის მიხედვით აგებენ მსუბუქი მრეწველობის ახალ საწარმოებს.

დახედეთ რუკაზე სამხრეთის მოკავშირე რესპუბლიკებს: უკრაინას, მოლდავეთს და ამიერკავკასიის რესპუბლიკებს. ეს მჭიდროდ დასახლებული რაიონებია, კარგად განვითარებული მრეწველობითა და სოფლის მეურნეობით. მაგრამ აქაც დაგეგმილია სამრეწველო ახალმშენებლობანი ელექტროენერგეტიკის, შავი მეტალურგიის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური, მსუბუქი, კვებისა და მრეწველობის სხვა დარგებში. მაგალითად, უკრაინაში დასახულია მშენებლობა და გაძლიერება 11 მსხვილი ელექტროსადგურისა, მათ შორის ატომურისაც. აშენდება და გაძლიერდება ოთხი ნავთობგადამამუშავებელი ქარხანა.

რა თქმა უნდა, ასეთ რუკაზე და ისაც კომენტარებით შეუძლებელია ვაჩვენოთ და დავასახელოთ ყველა დიდი ახალმშენებლობაც კი. აქ მხოლოდ ზოგიერთი მათგანია. მით უმეტეს სრულიად შეუძლებელია ყველა ხუთწლეხევარი ათასი ქალაქისა და დასახლების, ასი ათასობით სოფლის, დასახლებული პუნქტების ჩვენება, სადაც აშენდება ან რეკონსტრუირებული იქნება სხვადასხვა სამრეწველო ობიექტები, ახალი საცხოვრებელი სახლები (565-575 მილიონი კვადრატული მეტრის საერთო ფართობით), ახალი კლუბები, სკოლები, საბავშვო დაწესებულებანი. მთელ ჩვენს ქვეყანას მოიცავს ახალი ხუთწლედის გრანდიოზული მშენებლობა.

„რაბოტნიცა"

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიად არაბეთის ქალთა კონფერენცია, საერთაშორისო საბჭო და სხვა და სხვა... საბჭოთა ქალების კომიტეტი მრავალი საერთაშორისო ორგანიზაციის მეგობარი და თანამოღვაწეა, მრავალი კონგრესის, კონფერენციის, სიმპოზიუმის ინიციატორი და მონაწილე.

კომიტეტი ამყარებს და აძლიერებს კონტაქტებს კაპიტალისტური ქვეყნების ქალთა ორგანიზაციებთან, დიდ ყურადღებას აქცევს აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ქვეყნების ქალებთან თანამშრომლობის განვითარებას, განსაკუთრებით კი, თანახმად საბჭოთა მთავრობის და კომუნისტური პარტიის საგარეო პოლიტიკის პროგრამისა, რომლის ცენტრშია მსოფლიო სოციალისტური სისტემის შემდგომი განმტკიცება და განვითარება, კომიტეტი ზრუნავს სოციალისტური ქვეყნების ქალთა ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერებისათვის.

დღეს ასიათასობით ქალი ეწევა დიდ და კეთილშობილურ საქმიანობას ჩვენი ქვეყნის ყველა კუთხეში, ყველა რესპუბლიკაში. ეს ქალები გვევლინებიან მსოფლიოს ხალხებთან სოლიდარობის სხვა და სხვა აქციების ინიციატორებად: აგროვებენ სახსრებს მშვიდობის ფონდის გასაძლიერებლად, ამყარებენ კონტაქტებს სხვადასხვა ქვეყნის ქალებთან, უწევენ მორალურ და მატერიალურ დახმარებას ყველას, ვინც საჭიროებს ამ დახმარებას...

* * *

30 წელი შესრულდა იმ პირველი ანტიფაშისტური მიტინგის დღიდან და ამ შესანიშნავ თარიღს მიეძღვნა საბჭოთა ქალების კომიტეტის პლენუმი, რომელიც გაიმართა 1971 წლის 16-17 დეკემბერს მოსკოვში, კავშირების სახლის ოქტომბრის დარბაზში.

პლენუმის მონაწილეთა თვალწინ კინოეკრანის საშუალებით თუ ვეტერან მოღვაწეთა მოგონებებით გადაიფურცლა საბჭოთა ქალების კომიტეტის ოცდაათწლოვანი ისტორია...

უდიდესი კმაყოფილებითა და სიამაყით ლაპარაკობდნენ პლენუმის მონაწილენი თავთავისი მეურნეობის, საწარმო-დაწესებულების, სოფლის, ქალაქის, მხარის, ოლქისა თუ რესპუბლიკის ქალთა მუშაობის შესახებ, ჩვენი კომიტეტის ყოველდღიურად მზარდი როლისა და ავტორიტეტის შესახებ, იმის შესახებ, თუ რა ღვაწლი მიუძღვის საბჭოთა ქალების კომიტეტს მსოფლიო საზოგადოებრიობის მობილიზებაში მშვიდობის დასაცავად, ხალხთა საკეთილდღეოდ.

საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარის ვალენტინა ვლადიმერის ასულ ნიკოლაევა-ტერეშკოვას მოხსენება მიეძღვნა სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულ მშვიდობის პროგრამასა და ქალთა კომიტეტის ამოცანებს.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ XXIV ყრილობის მიერ მიღებული მშვიდობის პროგრამა იქცა საბჭოთა ქალების კომიტეტის მოღვაწეობის საფუძვლად, რომ კომიტეტი იყენებს და კვლავ უფრო მეტად გამოიყენებს ყველა შესაძლებლობას ყრილობის გადაწყვეტილებათა ფართო პროპაგანდისათვის, სადაც არ უნდა იყოს ეს — რეგიონალურ და საერთაშორისო ფორუმებზე, ჩვენი დელეგაციების უცხოეთში ყოფნისას თუ უცხოელ ქალთა ჩვენთან სტუმრობის შემთხვევებში.

პლენუმმა მოიწონა კომიტეტის საქმიანობა და დასახა მომავალი მუშაობის პერსპექტივები.

პლენუმის მონაწილეებმა მთელი ჩვენი ქვეყნის ქალთა სახელით აღუთქვეს საბჭოთა მთავრობასა და კომუნისტურ პარტიას, რომ კიდევ მეტი გულმხურვალებით იშრომებენ და იმოღვაწებენ პარტიის XXIV ყრილობის მიერ მიღებული საშინაო და საგარეო პოლიტიკის დიდებული პროგრამის მტკიცედ და თანმიმდევრულად განხორციელებისათვის.

საბჭოთა ქალების კომიტეტის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება: კიდევ მეტად გავაძლიეროთ სოლიდარობის აქციები ინდოჩინეთის ხალხთა მიმართ, მოვიზიდოთ ქალთა საზოგადოებრიობის ახალი წრეები სოლიდარობის საერთაშორისო მოძრაობაში; განვაგრძოთ მორალური და მატერიალური დახმარება ისრაელის აგრესიით შეჭირვებულ არაბეთის ქვეყნების ქალებისათვის, განვავითაროთ თანამშრომლობა ამ რეგიონის ქალთა ორგანიზაციებთან, დავეხმაროთ მათ კადრების მომზადებაში; ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების მიზნით განვავითაროთ თანამშრომლობა ევროპის ქალთა ორგანიზაციებთან; ვეცადოთ ახალი ძალების მოზიდვას მშვიდობის განმტკიცებისა და ევროპასთან თანამშრომლობის განვითარებისათვის დასახულ ღონისძიებებში — პირველ რიგში საზოგადოებრივ ძალთა ასამბლეაში, რომლის მოწვევა განზრახულია 1972 წლის მაის-ივნისში, გავაფართოვოთ თანამშრომლობა აფრიკისა და სრულიადაფრიკის ქალთა ორგანიზაციებთან, პირველ რიგში კოლონიალიზმის, რასიზმისა და აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლ ქალთა ორგანიზაციებთან, მათთვის მატერიალური დახმარებით და კადრების მომზადებით; გავაძლიეროთ კავშირი ლათინური ამერიკის ქალთა ორგანიზაციებთან, დელეგაციების გაცვლა-გამოცვლით, მატერიალური დახმარებითა და კადრების მომზადებით; აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ლათინურ ამერიკასა, პორტუგალიასა და საბერძნეთში დევნილ დემოკრატ და პროგრესულ მოღვაწეთა განთავისუფლების მოძრაობაში; განვაგრძოთ მოღვაწეობა ანჯელა დევისის დასაცავად, ხელი შევუწყოთ მისი განთავისუფლებისათვის მოძრაობის გაძლიერებას, კვლავაც აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის საქმიანობაში — გამოვიყენოთ ყველა საშუალება მისი მოღვაწეობისა და გავლენის სფეროს გაფართოებისათვის, ხელი შევუწყოთ მისი ავტორიტეტის ზრდა-ამაღლებას ქალთა საერთაშორისო მოძრაობაში; გამოვიყენოთ ქალთა საერთაშორისო დემოკრატიული ფედერაციის მომავალი სესია, რომელიც შედგება 1972 წლის აპრილში ქ. ვარნაში (ბულგარეთი) პარტიის XXIV ყრილობის მიერ მიღებულ მშვიდობის პროგრამის მასალების ფართო პროპაგანდისათვის; გავაძლიეროთ თანამშრომლობა სოციალისტური ქვეყნების ქალებთან, გავუზიაროთ მათ ჩვენი გამოცდილება სოციალიზმისა და კომუნიზმის მშენებლობაში; ხელი შევუწყოთ სოციალისტური ქვეყნების გავლენის გაძლიერებას ქალთა საერთაშორისო დემოკრატიულ მოძრაობაში.

დასასრულ პლენუმმა მეგობრული წერილით მიმართა ვიეტნამის, ლაოსის და კამბოჯის ქალებს. წერილში ლაპარაკია ინდოჩინეთის ქალთა სიმამაცესა და გმირობაზე თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. „ვახორციელებთ რა სკკპ XXIV ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებს, საბჭოთა ქალები მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად კვლავაც თანმიმდევრულად გავატარებთ ცხოვრებაში პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპებს, განვაგრძობთ მოღვაწეობას პროგრესული ძალების შესამტკიცებლად ინდოჩინეთის ხალხთა გამარჯვებისათვის, მშვიდობისათვის მთელს მსოფლიოში".

გულთბილი წერილი გაეგზავნა აგრეთვე ანჯელა დევისს*.

* * *

ჩვენი რესპუბლიკის ქალები გულმხურვალედ მონაწილეობენ საბჭოთა ქალების კომიტეტის საქმიანობაში. მათ შორის განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს კომიტეტის უცვლელი წევრის, მისი მრავალი ღონისძიების მონაწილის ნინო ჯავახიშვილის დამსახურება. ქართველი ქალები მუდამ იყვნენ, არიან და იქნებიან ხალხთა სიცოცხლის, მშვიდობისა და ბედნიერებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში.

დღეს 8 მარტია, ქალთა საერთაშორისო დღესასწაული. ვულოცავთ რა ამ დღესასწაულს ჩვენი ქვეყნის მშრომელ ქალებს, ვუსურვებთ ბედნიერ დედობასა და დიდ გამარჯვებას მათს საქმიანობაში — სკკპ XXIV ყრილობის მიერ მიღებულ საშინაო და საგარეო პოლიტიკის პროგრამის განხორციელებაში.

გვსურს, საბჭოთა კავშირის შექმნის ამ მეორმოცდაათე წლის გაზაფხულზე ჩვენი მილოცვის ხმა მივაწვდინოთ ჩვენს დებს — მოძმე რესპუბლიკების ქალებს.

ჩვენ სოლიდარობას ვუცხადებთ ყველა მოღვაწესა და მებრძოლ ქალს, სადაც არ უნდა იყოს ის, ყველას, ვისთვისაც ძვირფასია სიცოცხლის, მშვიდობის, სიკეთისა და სამართლიანობის გამარჯვება მთელს მსოფლიოში.

დიდხანს სიცოცხლეს, ბედნიერებასა და გამარჯვებას ვუსურვებთ ჩვენს ამერიკელ დას, გმირ ქალს ანჯელა დევისს.

დაე, სიკეთისა და ბედნიერების მაცნე იყოს ყველასათვის ეს 8 მარტი, ახალი გაზაფხულის ეს დასაწყისი!

---

* პლენუმის მიმართვა ანჯელა დევისისადმი და ანჯელა დევისის წერილი საბჭოთა ქალებისადმი, დაიბეჭდება ჩვენი ჟურნალის მომდევნო — მე-4 ნომერში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

СОВЕТСКАЯ ЖЕНЩИНА

# ოქროს ხელები

ლუსიტა ვილიამსი

ჩაიკოვსკი რომ ცოცხალი ყოფილიყო, იგი ალბათ ბალეტს დაწერდა საბჭოთა ქირურგ ქალზე. შეიძლება მის შთაგონებად ქცეულიყო სოფელ ბაკულის მკვიდრის, შესანიშნავი ქალის, ჩვენი დღეების კეთილი ჯადოქრის რომანტიკული ბედი. იგი ხომ თავისი ოქროს ხელებით ადამიანებს სიცოცხლეს უბრუნებს.

მთელი მსოფლიო ტაშს უკრავს რუს ბალერინებს, ასე ვირტუოზულად რომ წარმოგვიდგენენ თავიანთ ხელოვნებას „გედის ტბასა" და სხვა ბალეტებში. მაგრამ, აბა თუ გაგიგონიათ რამე მოსკოველ ვირტუოზ ქირურგზე, ულამაზეს პროფესორ ქალზე: პრესაში ატეხილ ქება-დიდებისა და გახმაურებული რეკლამის გარეშე, რაც თითქმის ჩვეულებრივია დიდ ხელოვანთათვის, სასწაულებს ახდენს ეს ნიჭიერი ქალი...

ლიდია ბაკულევას სანახავად არ არის საჭირო ბილეთის შეძენა თეატრის სალაროში. თქვენ მხოლოდ მოსკოვის იმ საავადმყოფოში შესასვლელი საშვი უნდა მიიღოთ, სადაც პროფესორი მუშაობს. იგი ან საოპერაციოში იქნება, ან პრაქტიკულ მეცადინეობაზე სტუდენტებთან.

მე სრულიად შემთხვევით შევხვდი ბაკულევას ჩვეულებრივ გამოკვლევაზე ვიყავი მოსკოვის ერთ-ერთ პოლიკლინიკაში, სადაც ექიმებმა მოულოდნელად დაავადების მცირეოდენი გართულება აღმომიჩინეს. საბოლოო განაჩენის გამოტანა პროფესორ ბაკულევას შეეძლო. აქვე მითხრეს, რომ უკიდურესი მოუცლელობის გამო, ბაკულევა ამ პოლიკლინიკაში მხოლოდ ორ კვირაში ერთხელ ატარებდა კონსულტაციებს.

დანიშნულ დღეს კვლავ გამოვცხადდი პოლიკლინიკაში, მაგრამ გამოირკვა, რომ, რომელიღაც რთული ოპერაციის გამო, პროფესორი დღის მეორე ნახევრამდე ვერ მოვიდოდა. ჩემს წარმოდგენაში იგი უნდა ყოფილიყო გრძელ ქვედატანსა და სადა თეთრ ხალათში გამოწყობილი, თავდაჭერილი, დინჯი, ხანშიშესული ქალი, სწორად გადავარცხნილი ჭაღარა თმით.

უეცრად ჟუჟლა იქ მყოფს თითქოს დენმა დაუარა — ხალიჩადაგებულ გრძელ დერეფანში გამოჩნდა სწრაფი ნაბიჯით მომავალი მომხიბვლელი, ტანკენარი ქალი. მას მუქი ფერის კაბა ეცვა, თავზე კი გვირგვინივით ედგა რუსულ ყაიდაზე მოხვეული ოქროსფერი ნაწნავი. იგი მსუბუქი გრაციოზულობით, დედოფლის იერით მოაბიჯებდა ექიმებისა და მედდების ამალით გარშემორტყმული და იგრძნობოდა, რომ ამ ქალს წარმოდგენაც კი არ ჰქონდა, როგორ შთაბეჭდილებას სტოვებდა ირგვლივ მყოფებზე.

ბაკულევა ერთ-ერთ კაბინეტში შევიდა. მალე მეც იქ მიმიწვიეს. იგი ოთახის შუაგულში იჯდა, ირგვლივ სამედიცინო პერსონალი ეხვია. კაბინეტში ჩვეულებრივი სამუშაო დღის ატმოსფერო იდგა. მათ წინ, როგორც სცენაზე, იდგა ერთ-ერთი პაციენტი. წამით სიჩუმე ჩამოვარდა. მე ჩემს თანამგზავრს გადავხედე, მაინტერესებდა, ისიც ჩემსავით აღიქვამდა თუ არა იმას, რაც იქ ხდებოდა. ჩემი აზრით, სწორედ რომ უნაკლო მიზანსცენა იყო: „ვარსკვლავს" გარს ეხვია მისი ქორო. წარმოდგენა წუთი წუთზე უნდა დაწყებულიყო. ადრე, ჰოლივუდში მუშაობისას, ხშირად შემხვედრია ოპერის, დრამისა თუ კინოს „ვარსკვლავები" და ყოველთვის შეუცდომლად ამომიცვნია თავისი საქმის ოსტატი. აქ კი ყველაფერს მაყურებლის თვალით შევცქეროდი და აღარც კი მახსოვდა, რომ მხოლოდ და მხოლოდ რიგითი პაციენტი ვიყავი.

ბაკულევა სკამიდან წამოდგა და ხანმოკლე სიჩუმე დაარღვია... „მართლაცდა, რატომ არ უნდა გავახმაუროთ ეს მომხიბვლელი ქალი, როგორც გამოჩენილი ქირურგი, ოქროსხელებიანი, ზღაპრული ჯადოქარი?!" — გამიელვა მოულოდნელად.

რამდენიმე დღის შემდეგ, ჟურნალ „სოვეტსკაია ჟენშჩინას" რედაქციაში ჩემს ძველ მეგობრებს შევხვდი და ვუამბე: ამას წინათ ერთი მოსკოველი მზეთუნახავი ვნახე-მეთქი. „თქვენ აუცილებლად უნდა მისცეთ მისი პორტრეტი ჟურნალში", — ვთქვი მე, „მოსკოვში ბევრია ლამაზი ქალი". — მიპასუხეს მათ და საუბარიც ამით დამთავრდა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ამავე რედაქციამ დამავალა ინტერვიუ ამეღო ბაკულევასაგან. „რა სისულელეა! — გავიფიქრე გუნებაში — ინტერვიუსათვის როგორ დავაკარგვინო დრო გამოჩენილ პროფესორ-ქირურგს?!.." პორტრეტის დაბეჭდვა კი სულ სხვა საქმე იყო... მაგრამ, რაკი ვიცოდი მკითხველები დაინტერესდებოდნენ, გადავწყვიტე მაინც მეცადა ბედი.

დადგა დღე, როცა ისევ შევხვდი პროფესორ ბაკულევას. იგი იმ საავადმყოფოში მოვიდა კონსულტაციის ჩასატარებლად, სადაც მე დამაწვინეს სამკურნალოდ. თავაზიანად დამთანხმდა ინტერვიუს მოცემაზე. ეს სწორედ იმ დღეს მოხდა, როცა ჩემმა მკურნალმა ექიმმა ზოია ნიკიფოროვამ და ბაკულევამ ერთად გადაწყვიტეს ჩემი გაწერა საავადმყოფოდან.

ბაკულევა პალატაში შემოვიდა და ჩემს საწოლთან, სკამზე ჩამოჯდა. პირისპირ დავრჩი ულამაზეს ქალთან და ცნობილ ქირურგთან. მასში კიდევ უფრო მეტი რაღაც იგრძნობოდა, ეს გახლდათ ნამდვილი დიდბუნოვანი მოქალაქე ქალი, როგორებიც აქ ხშირად გვხვდება მთელი რუსეთის მიწაზე.

— დავიბადე კიროვის ოლქის სოფელ ბაკულში, — დაიწყო მან ჩემი პირველი შეკითხვის საპასუხოდ. პატარა, ყოვლისშემძლე

---

*) იბეჭდება მცირე შემოკლებით.



ბელები მშვიდად ეწყო კალთაზე. ფრჩხილები მოკლედ ჰქონდა დაჭრილი, სადეზინფექციო ხსნარების ხშირი ხმარებისაგან კანი ოდნავ დაშაშროდა.

— გავიზარდე შრომისმოყვარე ოჯახში. ჩემს მშობლებს დღე და ღამე გასწორებული ჰქონდათ. ოჯახში რვა ბავშვი ვიყავით. სულ მთლად ახალგაზრდას მომისწრო დიდმა სამამულო ომმა, — განაგრძობდა პროფესორი, — მაშინ ყველანი ვმუშაობდით. ყველა შეძლებისამებრ ვეხმარებოდით ფრონტს; მე სანიტრად დავიწყე სამხედრო ჰოსპიტალში მუშაობა. ეს გახლდათ ჩემი სამედიცინო „კარიერის“ დასაწყისი. მერე გადავწყვიტე სადამოობით მემეცადინა... დავამთავრე სამედიცინო ტექნიკუმი, უკვე მედდა ვიყავი. სურვილმა — მეხსნა ადამიანები ტანჯვისაგან, უფრო მეტი დახმარება გამეწია მათთვის, — საბოლოოდ განსაზღვრა ჩემი ცხოვრების მთავარი მიზანი — გავმხდარიყავი ქირურგი...

— მე მძულს ადამიანთა ტანჯვა, ყველაზე მეტად კი მძულს ომი!

იმ ხაზგასმამ, რომლითაც ბაკულევა ამბობდა სიტყვას „მძულს“, ჩემი მეუღლის, ალბერტ რის ვილიამსის მონაყოლი გამახსენა. იგი მიამბობდა, როგორ სძულდა ლენინს სიდუხჭირე...

— ააშორო ადამიანს ტკივილით გამოწვეული ტანჯვა-წამება, უდიდესი ბედნიერებაა, — თქვა ბაკულევამ, — აი რატომ გადავწყვიტე მთელი ჩემი ცხოვრება ქირურგის პროფესიისათვის შემეწირა.

— გათხოვილი ბრძანდებით? — ვკითხე მე. ლიდია პავლეს ასულმა გაიღიმა და პირდაპირ თვალებში შემომხედა.

— ჩემი მეუღლე მშენებელი ინჟინერია, — ამაყად მომიგო მან. — ვაჟი კი ელექტროტექნიკურ ინსტიტუტს ამთავრებს.

„უკვე დავაჟკაცებული ვაჟი ჰყოლია, — გავიფიქრე ჩემთვის, — ეს ქალი უთუოდ მარადიული სიჭაბუკის საიდუმლოს ფლობს“.

— ჩვენს ხუთი წლის შვილიშვილს დიმკას კი, — განაგრძობდა ბაკულევა, — ძალიან უყვარს ლექსები. ხშირად ხმამაღლა მაკითხებს კორნეი ჩუკოვსკის ლექსებს. სიმართლე გითხრათ, მეც ძალიან მიყვარს ეს ლექსები. — ლიდიამ გაიღიმა და მშვენიერი, ჩაწიკწიკებული კბილები გამოაჩინა.

— ჩუკოვსკის ლექსები მარტო რუს ბავშვებს როდი უყვართ, — ვთქვი მე. — ჩემი შვილიშვილი ნოროჩკა წარამარა მათარგმნინებს ხოლმე „ბუზი-ბუზანკალს“. ეს წიგნი ბაბუა კორნეიმ გამოუგზავნა წარწერით. ჩვენი შვილები და შვილიშვილები რომ ერთსა და იმავე წიგნებს კითხულობდნენ, როცა გაიზრდებიან, აღარ ეცოდინებათ რა არის სიძულვილი და ურთიერთმტრობა.

— იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ასე იქნება, — თქვა ბაკულევამ.

დრო იწურებოდა. მე უკანასკნელი შეკითხვა მქონდა დარჩენილი. ვიფიქრე, ლიდია უთუოდ მშვენიერების თაყვანისმცემელი უნდა ყოფილიყო და ვკითხე.

— მუსიკა გიყვართ?

— რა თქმა უნდა! — მომიგო მან, — ჩემი საყვარელი კომპოზიტორია ჩაიკოვსკი.

ასეც ვფიქრობდი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ПРОЛЕТАРИИ ВСЕХ СТРАН, СОЕДИНЯЙТЕСЬ!

КРЕСТЬЯНКА
№ 1 ЯНВАРЬ 1972
ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ И ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ ЖУРНАЛ. ИЗДАТЕЛЬСТВО «ПРАВДА». ОСНОВАН В ИЮНЕ 1922 ГОДА.

# ერთიან მწყობრში

**1921 წლის 7 ნოემბერს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი მუშათა თხოვნით ქარხანა „დინამოს" ეწვია. მცირე ძრავების უზარმაზარ კორპუსში, სადაც ამჟამად ინსტრუმენტული საამქროებია, მოვიდნენ მორთული და საზეიმოდ განწყობილი მუშები თავიანთი ოჯახებით; ყველას უნდოდა მოესმინა ლენინისათვის.**

**მხურვალე რწმენით, დამაჯერებლად ლაპარაკობდა ლენინი მუშებისა და გლეხების შეკავშირებაზე. ქარხანა „დინამო" მას მიაჩნდა ელექტროფიკაციის ერთ-ერთ მთავარ ბაზად: აკი, დინამოელები ერთი პირველთაგანები შეუდგნენ გოელროს ისტორიული გეგმის განხორციელებას — სოფლის ელექტროფიკაციის პირველი მერცხლებისათვის — შატურის და კაშირის ელექტროსადგურებისათვის ელექტრომოწყობილობათა დამზადებას.**

**— შეგიძლიათ კი, ამხანაგებო, ელექტროფიკაციაში დაეხმაროთ სოფელს? — ჰკითხა ლენინმა მუშებს.**

**— ვეცდებით, ვლადიმერ ილიას-ძევ!**

**მას შემდეგ ნახევარი საუკუნე გავიდა. მოსკოვის ს. მ. კიროვის სახელობის ქარხანა „დინამო", სოციალისტური ინდუსტრიის ერთ-ერთი მძლავრი გიგანტი, ამჟამად ელექტრომოწყობილობით ამარაგებს სახალხო მეურნეობის თითქმის ყველა დარგს. დინამოელები, მრავალი პატრიოტული თაოსნობის ინიციატორები, მუდამ არიან ნათელი კომუნისტური მომავლის მშენებელთა პირველ რიგებში. თაობიდან თაობას, როგორც ესტაფეტას, ისე გადასცემენ ისინი ლენინის მითითებას მუშათა კლასის და გლეხობის კავშირის განმტკიცების შესახებ, წმინდად ასრულებენ ბელადისადმი მიცემულ დაპირებას.**

**მტკიცე, ურყევი მეგობრობა აკავშირებთ დინამოელებს მინდვრებისა და ფერმების მშრომელებთან. ლენინის ანდერძით განმტკიცებულ ამ მეგობრობის შესახებ მოგვითხრობს ვოლგოგრადის ოლქის, ნეხაევის რაიონის საბჭოთა მეურნეობა „როდნიჩკის" ცნობილი კომბაინერი ანა მაქსიმეს ასული ბრედისი:**

მე წილად მხვდა ბედნიერება — ნეხაევის რაიონის სოფლის მშრომელთა სახელით მიმერთმია 1970 წელში მოწეული ხორბლის პური მოსკოვის კიროვის სახელობის ქარხნის „დინამოს" წარმომადგენლებისათვის, ქარხნისა, რომელიც დაჯილდოებულია ლენინის, ოქტომბრის რევოლუციისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით.

ყოველ ჩვენთაგანს შეეძლო ეამაყა ჩვენი ამხანაგების მიღწევებით: დინამოელებმა გასულ ხუთწლედში ერთნახევარჯერ გაზარდეს შრომის ნაყოფიერება, ნეხაევის რაიონის მშრომელებმა კი მეორე ადგილი დაიკავეს ოლქში სახელმწიფოსათვის ხორბლის მიყიდვით.

ვუყურებდი ნაცნობ სახეებს, ვისმენდი ამაღელვებელ სიტყვებს და მეხსიერებაში ცოცხლდებოდა ერთიმეორეზე ნათელი სურათები.

...მახსოვს, თხუთმეტი წელი მისრულდებოდა, როცა პირველად ვნახე ტრაქტორი. მაშინ გამიჩნდა ფიქრი: შესწავლა ამ საოცარი მანქანის მართვა. ეს იყო ღირსსახსოვარ 1929 წელს. პარტიის მოწოდებით მუშათა კლასის საუკეთესო შვილების 25-ათასიანი რაზმი სოფლებისაკენ დაიძრა, რათა გლეხობისათვის დაემტკიცებინა კოლექტიური მეურნეობის უპირატესობა ერთპიროვნულთან შედარებით. ქარხანა „დინამოს" 50 წარმოგზავნილი ნეხაევის რაიონში დამკვიდრდა. ზოგი კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას ჩაუდგა სათავეში, ზოგი პირველი ტრაქტორის საჭეს მიუჯდა.

მე მაკვირვებდა ამ ადამიანების შეუპოვრობა და რკინისებური ამტანობა: იკვებებოდნენ ცუდად, ზოგჯერ 4 საათი ეძინათ დღეღამეში და მაინც უკან არ იხევდნენ. მუშები ღარიბებისაგან აყალიბებდნენ ბრიგადებს, ქმნიდნენ მექანიზატორთა მოსამზადებელ კურსებს. მახსოვს როგორ ვღელავდი, როცა პირველად წავიყვანე ტრაქტორი, მეჩვენებოდა, რომ ჩემი გულისცემა ძრავის ხმას ახშობდა. უფრო უკეთ რომ შემესწავლა ტრაქტორის მართვა, 1935 წელს კვლავ ჩავეწერე ტრაქტორისტთა ექვსთვიან კურსებზე. ჩვენ გვასწავლიდნენ ყველაზე გამოცდილი დინამოელები, ისინი, რომლებმაც 1921 წლის 7 ნოემბერს მიიღეს ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი თავიანთ საამქროში. სულგანაბული ვისმენდი მათ ნაამბობს ამ დაუვიწყარი შეხვედრის შესახებ.

ასრულებდნენ რა ლენინის ანდერძს, დინამოელები ჩვენს სოფლებში აგზავნიდნენ საუკეთესო მუშებს, ძრავებს, ელექტრომოწყობილობას. თავდაპირველად მუშებს ალმაცერად ხვდებოდნენ, მაგრამ თანდათან გალღვა უნდობლობის ყინული; სიტყვითა და საქმით ისინი არწმუნებდნენ გლეხობას მეურნეობის ახლებურად წარმართვის უპირატესობაში. ნეხაევის რაიონმა კოლექტივიზაციის გატარებისას მოპოვებული წარმატებებისათვის სამხარეო კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა მიიღო.

დინამოელებმა საბჭოთა მეურნეობა თავიანთ დასაყრდენ პუნქტად გადააქციეს და უწოდეს მას მშობლიური ქარხნის სახელი. ამგვარად, მოსკოვიდან 700 კილომეტრის დაშორებით გაჩნდა მუშათა გიგანტის უმცროსი ძმა. ის სწრაფად იზრდებოდა. 80 კილომეტრზე გადაიჭიმა საბჭოთა მეურნეობა „დინამოს" მიწები, 100 ათასი ჰექტარის საერთო ფართობით. თანდათანობით მას გამოეყო რამდენიმე დამოუკიდებელი მეურნეობა, მათ შორის ჩვენი „როდნიჩკიც", თუმცა მას კიდევ დიდხანს უწოდებდნენ „როდნიჩკი — დინამოს".

მუშათა მოწვევით ნეხაევის რაიონის გლეხები ხშირად ჩადიოდნენ დედაქალაქში. მასპინძლები უზიარებდნენ მათ თავიანთ გამოცდილებას. სოფლის მშრომელები დიდად აფასებდნენ ამ მეგობრობას და ცდილობდნენ თვითონაც ღირსეულნი ყოფილიყვნენ. მუშები უშვებდნენ პირველ დინამო-მანქანებს, პირველ ელექტრომატარებლებს; ნეხაეველებიც მათ ანგარიშს აბარებდნენ პირველი ელექტროსადგურების ამუშავების, პირველი მექანიზებული ფერმების, უხვი მოსავლის შესახებ.

ქარხანა ეხმარებოდა მათ საშენი მასალით, ინსტრუმენტებით, მოწყობილობებით. თანდათანობით, საბჭოთა მეურნეობა „დინამოს" მთავარ ქუჩებში, რომლებიც ატარებდა მეურნეობის წამომწყები მუშების ნალივაევის და შპუტნოვის სახელებს, წამოიმართა ქალაქის ტიპის ორსართულიანი სახლები, საბავშვო კომბინატი, სკოლა, სასადილო, მაღაზიები. მაგრამ სოფლის დინამოელების სიამაყე მაინც სახელოსნოები იყო.

საბჭოთა მეურნეობის სახელოსნოების მთავარი სპეციალისტები თავიანთი განათლებით არ ჩამოუვარდებიან ქარხნის სპეციალისტებს. მძლავრ სამანქანო-სატრაქტორო პარკს ემსახურებიან მაღალკვალიფიციური მუშები, რომლებიც რამდენიმე მონათესავე პროფესიას ფლობენ. სოფლის სახელოსნოთა საამქროებში ისეთი სამუშაოები სრულდება, როგორიც ჩვეულებრივ ქარხნის პირობებში ტარდება ხოლმე. მაგალითად, თუ მეზობლებს ძრავა გადაეწვათ, მისი რემონტისათვის საბჭოთა მეურნეობა „დინამოში" მოდიან. აქაურმა მუშებმა პრაქტიკა დედაქალაქელ შეფებთან გაიარეს და სრულყოფილად დაეუფლენ მათ გამოცდილებას.

სოფლის დინამოელებს არ ეშინიათ შეეჯიბრონ დედაქალაქელებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოდნასა და გამოცდილებაში. უკვე რამდენიმე წელია, რაც საბჭოთა მეურნეობის სახელოსნო საამწყობო საამქრო ეჯიბრება ქარხანა „დინამოს" მეორე სააპარატო საამქროს მემონტაჟეთა ბრიგადას.

ეს ბრიგადა კი რიგითი როდია. მემონტაჟეთა სიტყვა და საქმე ერთია. 1970 წლის დასაწყისში ლენინის ორდენოსანმა ბრიგადირმა ალექსანდრა ანდრიას ასულმა ლავრენტიევამ უპატაკა სამშობლოს, რომ მისმა მეგობრებმა სამმაგად გადააჭარბეს აღებულ ვალდებულებას — დაზოგეს სამუშაო დროის 300 საათი. აი, როგორი ბრიგადის გამოწვევა გაბედეს სოცშეჯიბრებაში სოფლის მემონტაჟეებმა.

ამჟამად ქარხანა „დინამო" სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამომშვებ საბჭოთა მეურნეობა „დინამოს" თავის საამქროდ თვლის. სადღესასწაულო დღეებში საბჭოთა მეურნეობის კოლექტივი ქარხნის საამქროთა კოლექტივებთან ერთად სახელმწიფო გეგმების შესრულების ანგარიშს აბარებს ქარხნის მუშებს. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50 წლის თავზე ქარხანაც და საბჭოთა მეურნეობა „დინამოც" სამახსოვრო დროშებით დაჯილდოვდნენ.

ნეხაეველები ამაყობენ საბჭოთა მეურნეობა „დინამოს" დღევანდელი მიღწევებით. ეს იმიტომ, რომ რაიონის ყველა მეურნეობა სისხლხორცეულად არის დაკავშირებული მასთან. იგია სამეურნეო და პარტიული კადრების სამჭედლო. იგი მეზობლებს ეხმარება მანქანა-იარაღების შეკეთებაში, უზიარებს გამოცდილებას სასოფლო-სამეურნეო კულტურების დანერგვაში, მარცვლეული კულტურების ახალი ჯიშების ათვისებაში, სასუქების, ახალი მარკის მანქანებისა და მოწყობილობათა გამოყენებაში.

აი, რატომ ვლაპარაკობ მეც, საბჭოთა მეურნეობა „როდნიჩკის" მექანიზატორი, საბჭოთა მეურნეობა „დინამოზე", როგორც მშობლიურზე.

1970 წელს ნეხაევის რაიონმა, გვალვიანი ზაფხულის მიუხედავად, 80 ათასი ჰექტარის თვითეული ჰექტარიდან საშუალოდ 15,7 ცენტნერი მარცვლეული მიიღო და მოსავლიანობის მხრივ ოლქში ერთერთ პირველ ადგილზე გამოვიდა. ამ წარმატებაში დიდი დამსახურება მიუძღვის როგორც საბჭოთა მეურნეობა „დინამოს", ისე იმ მრავალწლიან მეგობრობას, რომელიც გვაკავშირებს სოფლის მშრომელებს საბჭოთა კავშირის უმსხვილესი ქარხნის მუშებთან.

საბჭოთა მეურნეობა „დინამო" წლიდან წლამდე ყველაზე მაღალ მოსავალს იღებს რაიონში. ჩვენ გვახარებს ის, რომ ბოლო წლებში სულ უფრო ვუახლოვდებით ქარხანას საწარმოო მაჩვენებლების მხრივ.

მე 55 წლისა ვარ. ამხანაგებმა პენსიაზე გამაცილეს, მაგრამ მინდორსა და მანქანებს ვერ მოვშორდები. კვლავ საჭიროა ახალი ცვლის აღზრდა, ახალგაზრდებში მიწისა და ტექნიკის სიყვარულის ჩანერგვა — მათ უნდა ესმოდეთ მანქანის „სუნთქვა", უნდა შეეძლოთ მისი „ავადმყოფობის" დადგენა და მკურნალობა. მთავარი კი ის არის, ეწაფებოდნენ ცოდნას. ყოველწლიურად ხომ სულ უფრო ახალ, სრულყოფილ მანქანებს გვიგზავნიან სოფელს, საჭიროა მათი დაუფლება.

განა იმის დროა, იფიქრო წლებსა და პენსიაზე! 25 წელი განუწყვეტლივ დამყავდა ტრაქტორები და კომბაინები. მშობლიურ სოფელში გავიზარდე, პარტიაში შევედი, ხალხის ნდობა დავიმსახურე. ამირჩიეს განყოფილების პარტიული ორგანიზაციის მდივნად, საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის წევრად, პარტიის რაიკომის წევრად, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საოლქო საბჭოს დეპუტატად. დამაჯილდოეს ლენინისა და შრომის წითელი დროშის ორდენებით. და განა მარტო მე?

სამშობლო ღირსეულად აფასებს მიწის მუშის შრომას.

ჩვენი მიღწევების საფუძველი მუშათა კლასის და გლეხობის მჭიდრო, ურღვევი მეგობრობაა, კლასობრივ ბრძოლაში გამოცდილი, დიდი სამამულო ომის ქარცეცხლში გამოწრთობილი, ლენინის მითითებით განმტკიცებული მეგობრობა. ასეთი მეგობრობა მხოლოდ სოციალიზმის ქვეყანაშია შესაძლებელი. ჩვენი სახელმწიფო გერბის ცენტრში ტყუილად როდია თავთავებით გარშემორტყმული ერთმანეთზე გადახლართული ჩაქუჩი და ნამგალი.

ჟურნალი „კრესტიანკა"



ეს იყო 1944 წლის თებერვალში. ჯერ კიდევ არ მიყუჩებულიყო ომის ხმაური, როდესაც 18 წლის ნინა ფედოტოვა, სტავროპოლელ სხვა მოხალისეებთან ერთად, ჩავიდა დანგრეული სტალინგრადის საშენებლად.

მას შემდეგ 28 წელმა განვლო და სიყმაწვილეში არჩეული პროფესია იქცა ნინა ფედოტოვას მთელი სიცოცხლის საქმედ.

სწორედ სტალინგრადში, გმირი ქალაქის მშენებლობის ხარაჩოებზე მრავალი წლის თავდაუზოგავი შრომისათვის, მაღალი საწარმოო მაჩვენებლებისა და მაღალი ოსტატობისათვის მიენიჭა ნინა ფედოტოვას „რსფსრ-ს დამსახურებული მშენებლის" საპატიო წოდება.

მაღალი ვალდებულებანი იკისრეს IX ხუთწლედში კომკავშირულ-ახალგაზრდული კოლექტივის წევრებმა, კოლექტივისა, რომელსაც ნინა ფედოტოვა ხელმძღვანელობს: გაზარდონ შრომის ნაყოფიერება 35 პროცენტით, დაზოგონ საშენი მასალა, გააუმჯობესონ მუშაობის ხარისხი, სრულჰყონ თავისი პროფესიული ოსტატობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ჩემი სამშობლოს სიმღერები

საუკეთესო სპექტაკლი, მშვენიერი შემსრულებლები, მაყურებლის აღტაცება, — ყველაფერი ეს არაერთხელ განგვიცდია, გვინახავს და ბევრჯერ ხელმეორედ მოგვნატრებია, დავსწრებივართ კიდეც მეორედ, მესამედ, მაგრამ ყოველი ახალი შეხვედრის შემდეგ გული გწყდება, რომ ის პირველი განცდა აღარ მეორდება. ასევეა საუკეთესო ფერწერული ტილოც, რომელიც შინ, კედლიდან გიყურებთ და თავის გავლენას ყოველდღიური სიახლოვის გამო თითქოს ოდნავ ჰკარგავს, რადგან ჩვეულებრივი, ყოველდღიური ხდება.

ეს საკმაოდ ცნობილი აზრია და მაინც მინდა გიამბოთ ერთი გამონაკლისის შესახებ: ეს იყო თორმეტი წლის წინათ, მოსკოვის ესტრადის თეატრში იდგმებოდა წარმოდგენა, რომელსაც „მამაკაცური საუბარი" ერქვა. სანახაობაში საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ეროვნების წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ეს იყო ჩვეულებრივი მუზიკჰოლი, რომელსაც ხელმძღვანელობდა ესტრადის ცნობილი მსახიობი ნიკოლოზ რიკუნინი.

პირველი განყოფილების დასასრულს, სცენაზე გამოდიოდა უბრალო, ჩვეულებრივ კაბაში გამოწყობილი, ჭრელთავსაფრიანი გოგონა. მაშინ პირველად მოვისმინე უცნაური სითბოსი და სიღრმის სიმღერა. მთელ წარმოდგენას ვერ ვესწრებოდი, მაგრამ პირველი განყოფილების დასასრულს აუცილებლად დარბაზში გავჩნდებოდი ხოლმე. ასევე იყვნენ თვით თეატრის თანამშრომლებიც. ხალხი აღტაცებული იყო და სულგანაბული უსმენდა. მღეროდა ლუდმილა ზიკინა. ახალგაზრდა მომღერალს მაშინ დიდი რეპერტუარი არა ჰქონდა და რამდენიმე სიმღერის შემდეგ იძულებული იყო განმეორებით შეესრულებინა სიმღერა, რადგან დარბაზში ტაში არ ცხრებოდა.

დღეს ზიკინას სახელი ყველამ იცის. ტელევიზიისა და ფირფიტების ხანამ ერთიათად შეამოკლა ის დრო და მანძილი, რომელიც მომღერლის პოპულარობას სჭირდება. დღეს მისი ხმა ყველა ოჯახში შევიდა და სასიამოვნო სტუმარიც გახდა.

...დრო გადიოდა. თანდათან უფრო მკვეთრად იკვეთებოდა მომღერლის სული და საშემსრულებლო-სახე. დღეს მსმენელები მის ხმას სხვა ათასი ხმიდან ადვილად ანსხვავებენ. „ეს ზიკინაა", ამბობენ და ტელევიზორებსა და რადიოს ხმას უმატებენ. კომპოზიტორები მუსიკას მისთვის სიამოვნებით წერენ, პოეტები ლექსებს თხზავენ, იქმნება ახალი სიმღერები და მაინც, ვიდრე ამ სიმღერებს ზიკინა არ შეასრულებს, მათ სრული სუნთქვა და სიცოცხლე აკლიათ. ლუდმილა ზიკინა ის მესამე, მაგრამ მთავარი პიროვნებაა, ურომლისოდაც სიმღერა ფრთებშეკვეცილია, მხოლოდ მომღერალი ასხამს ფრთებს და შორეულ სივრცისკენ საფრენად ამზადებს, მხოლოდ ის უკვალავს გზას მსმენელთა გულისაკენ. უსმენ და მოგწონს, უსმენ და გიკვირს, რა ადვილად სწვდება იგი ადამიანის გრძნობებს და, უცბად, ვერც კი იფიქრებ, თუ ამ უბრალოების, სითბოსა და გულისხმიერების მიღმა რამდენი უძილო ღამე და უდიდესი მუშაობაა გაწეული. როცა სიმღერაზე საუბრობენ, სიტყვა „მუშაობა" ძალიან უადგილოდ, პროზაულად მეჩვენება. აქ, მე მგონი, უფრო ზუსტი იქნებოდა გვეთქვა, თუ როგორ დაჰკანკალებს, როგორ თვალისჩინივით უვლის თითოეულ სიტყვასა და ჰანგს მომღერალი.

თვით ზიკინას თუ შეეკითხებით, გიპასუხებთ, რომ მის შემოქმედებაზე, მომავალზე, რუსული სიმღერის ბუნების უკეთ გაგებაზე დიდი გავლენა მოახდინა ომსკის ხალხური სიმღერის დიდმა გუნდმა. ამ გუნდის დახვეწილმა ხელოვნებამ ბევრად განსაზღვრა მომღერლის გემოვნება და შეხედულებანი. ამიტომ იგი მუდამ მღელვარებით ელის ამ ქალაქთან შეხვედრას. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ახალგაზრდა მომღერალი ის-ის იყო იწყებდა თავის საკონცერტო მოღვაწეობას, სწორედ ამ ქალაქში ვესწრებოდი მის გამოსვლებს. მომღერალი ღელავდა. მით უმეტეს, რომ ომსკის სიმღერის გუნდი მაშინ მშობლიურ ქალაქში იმყოფებოდა, და ყველანი ერთად თავისი ძველი ნაცნობისა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კოლეგის მოსასმენად მოსულიყვნენ. მოკლედ ვიტყვი: ალბათ, იშვიათად უმღერია მომღერალს ასე გატაცებით, თავდავიწყებით. კოლეგებმა დიდი მომავალი უწინასწარმეტყველეს და მეგობარი სახელდახელო ვახშამზე მიიწვიეს. მასთან ერთად სტუმართა შორის კიდევ რამდენიმე კაცი ვიყავით. იმ ვახშამს, უფრო სწორად კი — მეგობრულ შეხვედრას, იმიტომაც ვიგონებ, რომ იქ კიდევ ერთ საიდუმლოებას ჩავწვდი, საიდუმლოებას, რომელიც ნამდვილ ხელოვნებას მუდამ თან სდევს. სუფრის ავანჩავანი ქართველებმა უკეთ იცითო, და გაძღოლა შემომთავაზეს. თავპატიჟი არ გამიდვია, და, სხვათა შორის, პირველად მშობლების სადღეგრძელო ვთქვი. ლუდმილა ოდნავ ჩაფიქრდა და თვალზე ცრემლი მოერია. არ უტირია, მხოლოდ ორი დინჯი ცრემლი მოადგა და მყის უკანვე ჩაიბრუნა. მაშინ შევიტყე, რომ ობლის გულს ანაზდად შევეხე. იქნებ, მისი სიმღერის ის წარმოუდგენელი სიღრმე, სითბო და სინატიფე ობლის მგრძნობიარე ბავშვობის შედეგიც არის, ყოველ შემხთვევაში, არც უმაგისობაა. მასპინძელმა სიტყვა ჩამომართვა, რათა ეს გულაჩუყება გაექარწყლებინა, მაგრამ ზიკინამ, ბუნებით მხიარულმა და ხალისიანმა, მაშინვე გამოიდარა და შენიშნა: თამადობა ისევ ქართველს დავუთმოთ, ასე აჯობებსო.

ომსკის გასტროლები დასასრულს უახლოვდებოდა. გამოსათხოვარ კონცერტზე დარბაზიდან მკაფიოდ გაისმოდა: „ზიკინა დაგვიტოვეთ, ზიკინა დაგვიტოვეთო".

ეს იყო ახალგაზრდა მომღერლის დიდი გამარჯვება. წინ კი დიდი და ძნელი გზა იყო. ამ გზას ბევრი დაადგება ხოლმე, მაგრამ ბოლომდე მისვლა მხოლოდ ერთეულების ხვედრია. მძიმე, უმძიმესი, ხვედრია. ვიდრე კულისებში შეიხედავდე, რა ლამაზია და წარმტაცი ყველაფერი: ყვავილები, ტაში, თაყვანისცემა, მოგზაურობა, ახალი ხალხი, შთაბეჭდილებანი. კულისებს მიღმა კი ეს არის ასკეტური, უძნელესი, უმძიმესი ტვირთი. ყოველგვარ პირადულზე უარის თქმა, დღე და ღამე ფიქრი, თვეობით განმეორება ორ-სამწუთიანი ნაწარმოებისა, აუწერელი ღელვა, რომელიც ყოველი ახალი სიმღერის შესრულებას თანასდევს. მხოლოდ ასე, მხოლოდ ამგვარად მოდის აღიარება და ხალხის სიყვარული.

ოცნება სინამდვილედ იქცა. ახლა მის წინ გასტროლების ვრცელი გზაა, მას ტაშს უკრავენ მსოფლიოს ოთხივე კონტინენტზე. უფრო ადვილია იმ ქვეყნების ჩამოთვლა, სადაც მას არ უმღერია, ვიდრე მისი მოგზაურობის ვრცელი სიის წარმოდგენა.

„ჩემი სამშობლოს სიმღერები" — ასე შეიძლება ვუწოდოთ ზიკინას კონცერტს. ამიტომ არის, რომ ასე დაუსრულებლად შეიძლება უსმინოთ მას. სიმღერა ხალხის სული და გულია და, ზიკინას ხმაში ისმის მშობლიური მხარის განუმეორებელი სილამაზე და უსაზღვრო სიყვარული.

**ზურაბ რცხილაძე**



ე. ბელაშოვა — ა. ს. პუშკინი

შესანიშნავი საბჭოთა მოქანდაკე ეკატერინე ბელაშოვა ჭეშმარიტი რუსული ტალანტია. მისი შემოქმედების წყაროა ჩვენი ცხოვრების მთელი წყობა, რუსი ადამიანის მამაცობა, მშობლიური ბუნების სილამაზე, ხალხური ხელოვნება. ხელოვანის ნამუშევრები, რომლებიც გამოირჩევიან ადამიანისადმი მხურვალე სიყვარულით, დიდი შინაარსითა და ცხოვრების სიღრმეებში წვდომის უნარით, გვხიბლავს ჭეშმარიტი რევოლუციური რეალიზმითა და პლასტიკის სილამაზით.

# ზოგი რამ სიცოცხლის ხანგრძლივობის შესახებ

დღეგრძელთა სტატისტიკის მიხედვით, მეტწილად, ხანგრძლივად ცხოვრობენ „ტყისა და ველის ლაღი შვილები“: ისინი მშვიდად, წყნარად ცხოვრობენ და ფიზიკურ შრომას ეწევიან. „სიცოცხლის შემოკლების მიზეზთა შორის მთავარი ადგილი უკავია დარდსა და სევდას, შიშსა და მოწყენილობას, სულმდაბლობას, შურს, სიძულვილს. მოწყენილობა ძალიან საშიშია, როგორც ფიზიკური, ასევე სულიერი მდგომარეობისათვის,“ — წერდა გასული საუკუნის ერთ-ერთი პოპულარული ექიმი გუფელანდი. მაგრამ, ნუ იტყვით და, არა ნაკლები უსიამოვნო შედეგი მოაქვს თურმე გადაჭარბებულ სიხარულსაც. სოფოკლე გარდაიცვალა ტაშის გრიალში, მაშინ, როცა ხალხი თავის გენიალურ შვილს დიდების გვირგვინს ადგამდა. ფილოსოფოს ლაიბნიცის ძმისწულს, რომელმაც ბიძის სასიკვდილო სარეცელზე 600 ათასი ფრანკი იპოვა, სიხარულისგან გული გაუსკდა.

გერონტოლოგები ამ ორი უკიდურესობის ურთიერთშეგუებას ცდილობენ, გვთავაზობენ, „ყველაფერს ზომიერება ვარჩიოთ, თავი ვარიდოთ ზედმეტ გაღიზიანებას“, „დავზოგოთ ნერვული უჯრედები“, რადგანაც მათი შრომისუნარიანობა, ასაკის მომატებასთან ერთად განსაკუთრებით სწრაფად ქვეითდება. თუმცა... ცნობილია ისიც, რომ ხანგრძლივად ცხოვრობენ აქტიური შემოქმედი ადამიანები, რომელთა ნერვული უჯრედები, ალბათ, მეტისმეტად ინტენსიურად შრომობენ; ლევ ტოლსტოი გარდაიცვალა 82 წლისა ფილტვების ანთებით, ტიციანი — 99-ისა, შავი ჭირით, 95 წლის ასაკში კი მან შექმნა თავისი ცნობილი სურათი „ქრისტე ეკლის გვირგვინით“. 80 წელს მიტანებული იყო კორო, როცა დაამთავრა თავისი ერთ-ერთი შედევრი. 80 წლის კომპოზიტორმა ობერმა განაცხადა, მე ოთხმოცისა კი არა, ოთხჯერ ოცისა ვარო.

გოეთემ იცოცხლა 83 წელი, სიკვდილამდე ერთი წლით ადრე დაამთავრა „ფაუსტის“ მეორე ნაწილი და სიცოცხლის უკანასკნელ დღემდე შეინარჩუნა ქალით გატაცების უნარი; სიკვდილის წინ მან წამოაბოდა: „შეხედეთ ერთი, ამ მშვენიერ ქალს, შავ ფონზე შავი დალალებით!“ გოეთე სულაც არ მისდევდა აღიარებულ მითიურ ზომიერებას. ცხოვრებაში მძიმე შრომის გარდა არა მქონია-რაო, წერდა იგი. „ახლა 75 წლისა ვარ, აქედან 4 კვირაც არ მიცხოვრია სიამოვნებით, თითქოს სულ ქვებს ვეზიდებოდი, რომლებიც კვლავ უკან მიბრუნდებოდა, რათა ისევ უკან ამეთრია“.

„მთელი სიცოცხლის მანძილზე შრომით ვიყავი წელში გაწყვეტილი, — წერდა მიქელანჯელო, — შრომის გარდა არაფერზე მიფიქრია“. ერთ წვიმიან დღეს კოლიზეუმის კედელთან მდგარმა მიქელანჯელომ კარდინალის შეკითხვაზე, რას აკეთებ მანდო, უპასუხა; ვსწავლობო. მან 89 წელი იცოცხლა.

გალილეიმ 70 წლისამ აღმოაჩინა, რომ დედამიწა მზის გარშემო ბრუნავს. პავლოვი გარდაიცვალა 86 წლისა ინფექციური დაავადებით, ჯერ კიდევ შემოქმედებითი გეგმებით სავსე.

შემთხვევითია, თუ არა დღეგრძელ, აქტიურ შემოქმედთა ასეთი სიხშირე? — სამწუხაროდ, გერონტოლოგია ჯერ ამ კითხვაზე ვერ პასუხობს, მაგრამ ერთი რამ ცხადია, სასიამოვნო აქტიური შრომა ხელს უწყობს ხანგრძლივ სიცოცხლეს. „არც ერთ ზარმაცს არ მიუღწევია ღრმა მოხუცებულობამდე“ — წერდა 1852 წელს გუფელანდი და ამ აზრს დღემდე არავინ აღსდგომია წინ.

„ზნანიე სილა“

მხატვარი ლამარა ქველიძე

ვ. ვერესაევი



# შეჯიბრება სილამაზის მოედანზე

მოთხრობა

როცა შეჯიბრება გამოცხადდა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ გაიმარჯვებდა ორგზის დაფნოსანი, მსოფლიოში სახელგანთქმული მხატვარი, რომლითაც ამაყობდა მთელი ქალაქი. მაგრამ თვითონ მას შეჰპაროდა გულში ოდნავი შიში: აბა, მასზე უკეთ ვინ იცოდა თავისი ახალგაზრდა შეგირდის — ცალქას ნიჭი და ძლიერება!

ქალაქში დაჭქროდნენ მაცნენი და ყოველ გზაჯვარედინზე ბოხხმით ამცნობდნენ ქვეყანას სახალხო კრების დადგენილებას:

„გამოცხადებულია შეჯიბრება სურათზე, რომელშიც ქალის უზენაესი სილამაზე უნდა გამოიხატოს. ეს უჩვეულო სურათი, სილამაზის მოედნის ცენტრალური პორტიკის მთავარ ნიშში დაიდგმება, რათა ყოველი გამვლელი შორითვე დატკბეს მისი ხილვით და ხოტბა შეასხას შემომქმედს იმ უდიდესი სიამოვნებისათვის, რაიც მან ქვეყანას უწყალობა. ზუსტად წლისთავზე, ღვინობისთვეში, სურათები გამოიფინება საჯარო განხილვისათვის. ვისი ნახატიც აღმოჩნდება ღირსი, დაამშვენოს დიდებული ქალაქის ულამაზესი მოედანი, იგი დაჯილდოვდება უფრო მეტი გულუხვობით, ვიდრე რომელიმე მეფეს დაუჯილდოვებია ვინმე ოდესმე: სამმაგი დაფნის გვირგვინი შეამკობს მის შუბლს და ამიერიდან იქნება სახელი გამარჯვებულისა — სამგზის დაფნის გვირგვინოსანი“.

ასე გაჰყვიროდნენ მაცნენი ქალაქის ბაზრებსა და გზაჯვარედინებზე, ხოლო ორგზის დაფნოსანს კი ხელთ შინდის ჯოხი ეჭირა, თავზე სამგზავრო ქუდი დაეხურა, ზურგზე შალაყა მოედო, ქამარზე ოქროთი სავსე ქისა დაეკიდებინა და ქალაქიდან გადიოდა. ნიავი ნებივრად ურხევდა ჭაღარა წვერს, დიდრონი, მუდამ ნაღვლიანი თვალები კი მიეპყრო ლურჯი მწვერვალებისაკენ, საითკენაც ვენახებში ჩაფლული კლდოვანი ბილიკი მიიკლაკნებოდა.

და მიდიოდა იგი... მიდიოდა საძებრად უზენაესი მშვენიერებისა, რაიც შემოქმედს ქალის სილამაზეში ჰქონდა გაცხადებული.

ერთ ქოხთან, წნული ღობის გადაღმა, გრუზათმიანი ჭაბუკი რცხილის კუნძზე ფიჩხს ჭრიდა. მან შორიდანვე შეამჩნია მგზავრი, უმალ წელში გაიმართა, მზით გარუჯულ შუბლზე ჩამოშლილი კრუზა თმა უკან გადაიყარა და სიხარულით სახეგაბრწყინებულმა ანაზდად გაიღიმა. გაღიმებისას თეთრი კბილები გამოუჩნდა, დიდრონ შავ თვალებმა ელვასავით გამოანათეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გიხაროდენ, ოსტატო! — აღტაცებით მიაგება მან მგზავრს.

— გიხაროდენ, შვილო ჩემო! — უპასუხა ორგზის დაფნოსანმა, რომელმაც მყისვე იცნო ცალქა — თავისი საყვარელი შეგირდი.

— გეტყობა, შორს გაგიწევია, ოსტატო, სამგზავრო ქუდი, ზურგჩანთა, ფეხთ კამეჩის ტყავის სქელი ხამლები, მაინც საით? შინ შემობრძანდი, ოსტატო, თითო ფიალა მაინც ავწიოთ, რომ გზა დაგილოცო და კეთილი მგზავრობა გისურვო.

და ორგზის დაფნოსანმა კმაყოფილებით მიუგო:

— სიამოვნებით, შვილო ჩემო!

ცალქამ ბასრი წალდი ერთი მოქნევით კუნძში ჩაარჭო და სიხარულით შესძახა:

— ციაგა, საჩქაროდ გამოგვხედე, საუკეთესო ღვინო მოგვართვი, ყველი და ყურძენიც მოგვიტანე, მცირე სუფრა გაგვიწყვე. უდიდესი ბედნიერება ეწვია ჩვენს ქოხს, თვით ჩემი დიდოსტატი გვესტუმრა.

ისინი ქოხის წინ, ვაზით დაბურულ ხეივანში ჩამოსხდნენ, თავზე მწიფე ყურძნის დაყურსული მტევნები დაჰყურებდათ. ციაგამ, რომელიც მოკრძალებით შესცქეროდა დიდოსტატს, ტაბლაზე სველი ხელადა შემოდგა, ხის თეფშებით ყველი და პური მიართვა.

და კვლავ ჰკითხა ცალქამ:

— მაინც საითკენ გაგიწევია, ოსტატო?

ორგზის დაფნოსანმა ფიალა დადგა და თავის გაზრდილს გაკვირვებით შეხედა:

— როგორ, ნუთუ არ გაგიგონია, რაზე გაჰყვირიან, აგერ მესამე დღეა ქალაქის მოედნებსა და გზაჯვარედინებზე მაცნენი?

— როგორ არა, გავიგე.

— მერე და, ხომ აპირებ შეჯიბრებაში მონაწილეობის მიღებას?

— დიახ, ოსტატო, ვფიქრობ. ისიც ვიცი, რომ თქვენთან მომიხდება შეჭიდება, მაგრამ ასეთი შეჯიბრება, ვგონებ, თქვენთვის საშიში არ უნდა იყოს. მჯერა, ძნელი იქნება თქვენი მეტოქეობა, მაგრამ ღირსის კია ხელოვანი იმას, ვინც ასეთ ბრძოლას გაექცევა?

— მეც აგრე ვფიქრობ, შვილო. ვიცი, რომ მეტად მძიმე ბრძოლა მოგველის. შენი ჯობნა ადვილი როდი იქნება. როდისღა აპირებ გამგზავრებას?

— საით, ოსტატო?

— როგორ თუ საით! რა თქმა უნდა, საძიებლად უზენაესი სილამაზისა. რაიც სადმე ხომ უნდა არსებობდეს ამქვეყნად? უნდა მოძებნო ის, ვის სახებაშიც არ უნდა იყოს გაცხადებული ეს სილამაზე. გულზვიად მეფის ასულსა თუ უმანკო მწყემს გოგონაში, მებადურის ლაღ პირმშოსა თუ მევენახის სათნო ქალწულში.

ცალქას უდარდელად გაეცინა.

— უკვე ვიპოვე, ოსტატო!

მოხუც მხატვარს გული ყრუ ტკივილმა აუჩქამა, სუნთქვა შეეკრა, ჭაღარა თავი აუცახცახდა, ფრთხილად, თითქოს სწორ პასუხს არც მოელისო, ჰკითხა:

— სად, როგორ იპოვე იგი?

— აგერ, ისიცაა!

და ცალქამ თავის სატრფოზე — ციაგაზე მიუთითა. მისი გამოხედვა პირდაპირი და ალალი იყო.

ორგზის დაფნოსანი განცვიფრებული მიაჩერდა ცალქას.

— ესა?

— დიახ, სწორედ ესა!

მოხუცმა შვებით ამოისუნთქა, გულმაც მშვიდად უწყო ძგერა. და კვლავ ამეტყველდა გრძნობა აღმზრდელისა:

— შვილო ჩემო, შენი სატრფო უთუოდ მშვენიერია, ბედნიერია, ვისაც ალერსით მოეხვევიან მისი სალუქი მკლავები, ვისაც მისი მხურვალე მკერდი მიეკვრება. მაგრამ კარგად ჩაუფიქრდი, ეს არის განა ის ხორცშესხმული მშვენება, ვინც უნდა მოაჯადოოს ქვეყნიერება?

— დიახ, სწორედ ეს არის; ქვეყნად არ მეგულება მსგავსი მშვენება, ჩემი ოქროსთმიანი ციაგას სილამაზის დარი, — აღტაცებით წარმოთქვა ცალქამ.

და წამით ეჭვმა შეიპყრო ორგზის დაფნოსანი. გამოცდილმა თვალმა ხომ არ უმტყუნა ოსტატს, ხომ არაფერი გამორჩა მშვენიერი ასულის გარეგნობიდან, მორცხვად რომ იდგა ვაზის ხეივნის ხვატიან ჩრდილში? მან კვლავ ფრთხილად, დაკვირვებით შეათვალიერა იგი. ჩვეულებრივი სილამაზის გოგონაა, ასეთები ხომ ყოველი ფეხის ნაბიჯზეა; გაბადრული პირისახე, ოდნავ ირიბად ჭრილი დიდრონი, ლამაზი თვალები, მეჩხერი, თეთრი კბილები, ეს იყო და ეს. ბრმანი არიან შეყვარებულნი!

დიდოსტატს გუნებაში გაეღიმა, თუმცა გარეგნულად არაფერი შეიმჩნია. დინჯად წამოდგა და ღიმილითვე ეს თქვა მხოლოდ:

— ეგებ, მართლაც იყოს, შვილო ჩემო. ბედნიერი ხარ, რომ შენ ასე ადვილად გიპოვია ის, ვის საძებრადაც დიდი ხნით ხეტიალი მომიწევს. გიხაროდენ! და გიხაროდენ შენც, ბედნიერო ასულთა შორის!

როცა ორგზის დაფნოსანი დიდ გზაზე გავიდა, თავისუფლად და შვებით ამოისუნთქა, მისი ერთადერთი საშიში მეტოქე, ვინც სიყვარულით იყო დაბრმავებული, თავისივე ნებით ეცლებოდა გზიდან. მოხუცი მხრებში გაიმართა და მოკლე გზით, დამშრალი მთის ნაკადულის თეთრქვიშიან გზანაკვალევზე მხნედ შეუდგა ციცაბო აღმართს.

ასე ვლიდა ორგზის დაფნოსანი ქალაქიდან ქალაქში, სოფლიდან სოფელში, გადადიოდა კუნძულიდან კუნძულზე. შეუსვენებლივ დაეძებდა უცხო სილამაზის ასულს, რომელშიც შემოქმედს უზენაესი მშვენიერება უნდა ჰქონოდა გაცხადებული.

დაეძებდა მას ვენახებსა და ზვრებში, მეთევზეთა ქოხმახებში, უძველეს ტაძრებსა და სათემო ბაზრებში, დიდებულთა პალატებსა და აზიის მბრძანებელთა სრა-სასახლეებში. მისი დიდებული სახელის წინაშე იღებოდა ყველა კარი, იგი ყველასათვის სასურველი სტუმარი იყო, მაგრამ მაინც ვერსად ვერ იპოვა ის, ვისაც ასე გულდაგულ დაეძებდა.

ერთხელ, ქარების თვეში, შორეული ზღვის მიღმა, ქალაქის კარიბჭესთან სახედრებზე აღმართულ ტახტრევანში თვალი მოჰკრა მეფის ასულს. მოჯადოებულივით შედგა ოსტატი და ხარბად მიაცქეროდა მომხიბვლელ ქალწულს. „იქნებ, ეს არის?“ — ჰოჭმანით გაიფიქრა ხელოვანმა, მაგრამ უმალ გამოერკვა, შემობრუნდა და მტკიცედ განაგრძო გზა.

„იქნებ“... მაშასადამე, ის არ ყოფილა. ჭეშმარიტი სილამაზე ციცინათელასა ჰგავს. როცა ღამით უღრან ტყეში ციცინათელებს დაეძებ, ხშირად ხდება ხოლმე, უეცრად შედგები, „აცა, ვგონებ, ციცინათელაა“. ტყუილად დროს ნუ კარგავ, გზა განაგრძე. ეს მხოლოდ თეთრი კენჭი კიაფობს ან ოქროლილა ყვავილი ანათებს ბნელში, ან ტევრს დასხლეტილი მთვარის შუქი ციალებს დამჭკნარი ფოთლის ჯამზე. როცა თავისი ნათელი შუქით უკუნეთს გაჰკვეთს და ბნელში იელვებს ციცინათელა, მაშინ არავის, არავის არაფერს ჰკითხავ და გულდაჯერებით წამოიძახებ: ის არის!

თვეები თვეებს მისდევდა. გადაიარეს ზღვებზე ქარტეხილებმა. მუხნარმა სამოსი შემოიძარცვა. თანდათან დაბლა იწევდა მზე, სულ უფრო და უფრო ღრმად იჭყიტებოდა ბნელი ქოხმახების სარკმლებში. შავი ნისლის ქარავნები დაიძრნენ ზღვის ზედაპირზე. მთებმა თეთრი ჩაფხუტები დაიხურეს. სუსხიანი ქარი ბრმად ერეკებოდა მშრალი თოვლის ნამქერებს.

მერე ისევ შეიმაღლა მზემ სავალი, გათენების წინ, ცისკარზე, მთების გადაღმიდან სწრაფად ამორბოდა ზეცის მონადირე და ცეცხლოვან ისრებს უშენდა კიბორჩხალის ვერცხლისფრად მოელვარე ზურგს. თანდათან დათბა.

ორგზის დაფნოსანი კი კვლავ განაგრძობდა ხეტიალს.

იების თვე იდგა. მგზავრმა ღამის გასათევად ნავსაყუდელის ქვიშიან ნაპირზე მოიკალათა. კათხიდან ღვინო მოსვა, ქერის პურითა და გუდის ყველით დანაყრდა. სასთუმალიც მოიმზადა: ზღვის სილა შეაგროვა, ბეწვიანი თექა დაიგო და დასაძინებლად მიწვა.

მისი სხეული უზომო დაღლილობას მოეცვა, ხოლო სული — სასოწარკვეთას. და მოეჩვენა, რომ ვერასოდეს იპოვიდა იმას, ვისაც ასე გულით ეძებდა. ვერ იპოვიდა, რადგან საამისო ძალა და უნარი აღარ შესწევდა. სამხრეთის მთებიდან მონაქროლ თბილ ნიავს იების სურნელი მოჰქონდა. მთის უღელტეხილებზე ტყის მდელოები იების ფართო ხალიჩებით იყო მოფენილი. დღეს, მიმწუხრზე, იგი ბილიკებით მიჰყვებოდა უღელტეხილს და უსაზღვროდ ნეტარებდა ირგვლივ გადაშლილი მომაჯადოებელი სანახაობით. ხარბად ისუნთქავ-



და ნაადრევი გაზაფხულის მაცხოვნებელ სურნელს. ახლა კი, როცა მთები ღამის ბინდში დანთქმულიყვნენ, როცა შორით მონაბერ თბილ ნიავს იების გამაბრუებელი სურნელება მოჰქონდა, ეჩვენებოდა, რომ იქ, ყოველივე რაღაც უფრო ლამაზი, უსაზღვრო და იდუმალი იყო, ვიდრე მათთან ახლოს ყოფნის დროს განიცადა. მაგრამ საკმარისი იყო, კვლავ მიახლოვებოდა მას, რომ მშვენიერება უმალ შორს გადაინაცვლებდა. ყველაფერი ისევე ლამაზი რჩებოდა, მაგრამ არა ისეთი... და მაინც, რა უცნაური ჯადოქრობა ჩაქსოვილი სამყაროს ამ უსასრულო მშვენიერებაში, იგი მუდამ შეუცნობია და მიუწვდომელი, მუდამ გაურბის ადამიანს, მთელი სრულყოფილებით ვერასოდეს თავსდება ბუნების ვერც ერთ ფორმასა და სახეში.

ორგზის დაფნოსანმა გონების თვალი გადაავლო ყოველივეს, რაც კი მთელი სიცოცხლის მანძილზე შექმნა, რამაც მას მსოფლიო სახელი მოუპოვა, და პირქვე დაემხო... იგი შეძრწუნდა, სირცხვილით დაიწვა იმ უნიათო ცოდვილობის გამო, რითაც ვერასოდეს ვერ შეძლო შესაბამის ფერებსა და სახეებში გაეცხადებინა ის მარად მაღალი, უსაზღვროდ მიუწვდომელი, რაც მიწყივ მის ნაღვლიან თვალთა წინ რიალებდა.

რული მოეკიდა უხეშ თექაში თავჩარგულს. მთებიდან კვლავ იის სურნელით გაჟღენთილი ნიავი მოჰქროდა. ოხრავდა, ნაპირს აწყდებოდა მარად ბულხაურიანი, მარად დაუდგრომელი ზღვა.

როცა ორგზის დაფნოსანს გაეღვიძა, ზღვაზე უკვე ოქროსფერი განთიადი შლიდა მეწამულ ფრთებს. მთები, ბუჩქები, ზღვისპირა ეკალბარდები დილის მკრქალ ბურუსში გარინდულიყვნენ. ცისკრის მკრთალი ნათელი ჩახვეოდა ღამის ბურუსს. მერე ზღვაზე ტაატით წამოიმართა ვეებერთელა დაფიონი, ცეცხლი წაეკიდა ცისკიდურს და ელვარე მზემ ათასობით ცეცხლოვანი ისარი სტყორცნა ახლადგამოღვიძებულ დედამიწას. და სწრაფად განელტვო ნათელი ბნელს, და განცალკევდნენ ისინი. ნათელმა იმძლავრა, ხოლო ბნელი უფრო ჩაიმალა. ორგზის დაფნოსანმა ბინდში დანთქმულ კუშტს მთებს გახედა და ჭაბუკივით ზეწამოიჭრა: მთის ჭარაფიდან ჩამოდიოდა ამომავალი მზის სხივებით სახეგაბრწყინებული, საოცრად ტანკენარი ასული, თავზე იების გვირგვინი ედგა. და შესძრა ხელოვანი ამ უჩვეულო სანახაობამ და მყისვე ყოველგვარი ყოყმანისა და ეჭვის გარეშე სიხარულით აღმოხდა გულის სიღრმიდან:

— ის არის!

ორგზის დაფნოსანი მუხლებზე დაეცა და შთაგონებული მლოცველის გზნებით ორივე ხელი უმშვენიერესი ქალწულისაკენ გაიწოდა.

## III

დადგა ღვინობისთვე. სილამაზის მოედანზე თავმოყრილი ხალხი ზღვასავით ბობოქრობდა. მოედნის შუაგულში აღმართულ ორი ერთნაირი ზომის სწორკუთხედებისათვის ტილოები ჩამოეფარებინათ. ერთს გვერდით ორგზის დაფნოსანი ედგა, მეორეს კი — ცალქა. ხალხი მოწიწებით შეჰყურებდა ორდაფნოსანის შთაგონებულ სახეს, რომელსაც მკაცრი სიმშვიდე მოჰფენოდა. ლამაზი, გარუჯული, ოდნავ ფერმკრთალი ცალქას დანახვაზე კი ბევრს დამცინავად ეღიმებოდა.

აქა-იქ გაისმა:

— ცალქა! გაასწარ, სანამ დრო გაქვს, თავს ნუ ირცხვენ!

ცალქა პასუხად გრუზა თავს ხალისიანად აქნევდა და გამომწვევად იღიმებოდა.

ძოწისფერმოსასხამიანმა მოხუცმა, თავზე ოქროს სალტა რომ ეკეთა, სპილოს ძვლის კვერთხი ვერცხლის ზარს შემოჰკრა.

ყველა გაინაბა. მოხუცმა კვერთხი სურათისაკენ გაიწოდა. საბურველი სწრაფად ჩამოსრიალდა ძირს.

ზღვა ხალხს მაღლით დაჰყურებდა მთებიდან მომავალი, მზის შუქით სახეგაბრწყინებული თვალწარმტაცი სილამაზის ასული, რომელსაც თავზე იების გვირგვინი ედგა.

მის უკან მოჩანდნენ ცამდე აზიდული პირქუში მთის მწვერვალები, რომელთაც მზე ჯერ არ მიჰკარებოდა.

მოედანს ყრუ გუგუნმა გადაუარა და უცებ ირგვლივ ისეთი სიჩუმე ჩამოწვა, როგორიც ტყის უღრანებს სჩვევიათ ხოლმე ზაფხულის ხვატში. ზღვა ხალხის წინაშე ღვთაებრივი სიმშვიდით იდგა და დიდრონი, გაზაფხულის თავსხმის შემდეგ დაწმენდილ ცასავით ნათელი თვალებით, მოედანს გაჰყურებდა უჩვეულო მშვენების ასული.

ქვეყნად არავის, არსად და არასოდეს ენახა მსგავსი მშვენება. იგი თვალს სჭრიდა ალმასის, როგორც ზღვიდან თავდაღწეულ მზის ხილვისას გინდა თვალებზე ხელი აიფარო, მაგრამ ხელი არ გემორჩილება და მოწყვეტით დაბლა ეშვება, ასევე შეუძლებელი იყო მზერა მოგეშორებინა მომაჯადოებელი ასულისათვის. ხოლო, რაწამსაც მზერას მოაშორებდით, და ირგვლივ მიმოიხედავდით, ყველაფერი ბნელი და ბუნდოვანი გეჩვენებოდათ, როგორც ზღვიდან ამოსული მზის ხილვისას გვემართება ხოლმე. გამჭვირვალე ქსოვილის ჰაეროვან სამოსში მკვეთრად ინაკვთებოდა უმანკო ასულის ნატიფი აღნაგობა, ვისაც აროდეს მიჰკარებოდა მამაკაცის ხელი. მაგრამ აქ არ იყო განცხრომა ხორციელი ტკბობისა, აქ იყო მხოლოდ მორწმუნის თაყვანისცემა და თვინიერი, არაამქვეყნიური სევდა.

მრუმე მთები დაყუდებულიყვნენ ასულის მიღმა და გარინდებულ მოედანს ბინდი ჩამოსწოლოდა. ქალწულნი თუ გათხოვილნი დარცხვენით თვალს არიდებდნენ ზღაპრული სილამაზის ასულს, ჭაბუკები და ცოლიანები კი მოჯადოებულივით მისჩერებოდნენ გვირგვინოსან მშვენებას, მერე მზერა თავიანთ შეყვარებულებზე გადაჰქონდათ და უნებლიეთ ეკითხებოდნენ თავიანთ თავს: მაინც რა მოსწონდათ თავიანთ სატრფოთა გარეგნობაში, რა მოსწონდათ მათ უბრალო აღნაგობასა და მოჭიატე მბჟუტავ თვალებში?

მოხუცი მეჯოგე, ნიკაპზე წვერი ჯაგარივით რომ მოზრდოდა, ალმაცერად აკვირდებოდა გვერდით მდგომ მეუღლეს: ფაშფაშა, ღაბაბჩამოშვებულ სავსე გულმკერდიან დედაკაცს, სამზარეულოს კვამლისაგან სახე წითლად რომ გარუჯვოდა. აი, კიდევ ერთხელ შეხედა მოხუცმა მეჯოგემ გვირგვინოსან მშვენებას და მზერა კვლავ თავის მეუღლეზე გადაიტანა. გახევებულ, უგრძნობ გულში უცნაური ტკივილი იგრძნო, მწვავე ეჭვმა და სინანულმა შეიპყრო იმის გამო,

რომ ბედმა არგუნა, მძიმე და უსიხარულო დღეები გაეტარებინა მასთან.

ღიდხანს იდგა ხალხი კრძალულ მდუმარებაში დანთქმული. იდგა, შეჰყურებდა სურათს და ყრუდ, გაურკვევლად ბუბუნებდა. ერთბაშად მოედანზე გარინდებულ ხალხს კვნესა აღმოხდა, და საყოველთაო ღიღმა სევდამ, ნაღველმა მოიცვა მათი გული.

ძოწისფერმოსასხამიანმა მოხუცმა, როგორც იყო, თავი დაალწია გამოანგველ ბურანს და უმალ ზეწამოიჭრა. მკაცრი და ზეიმური იყო მისი გამოხედვა. და თითქოს ჯადოქარიაო, სპილოს ძვლის კვერთხი ახლა მეორე სურათისაკენ გაიწოდა. საბურველი მყისვე დაეშვა.

მოედანს შეშფოთებისა და მრისხანების ღრტვინვამ გადაუარა. სკამზე, მუხლებზე ხელებშემოჭდობილი ციაგა იჯდა და ოდნავ წინ წამოწეული სახით, მოზიმზიმე ხალხს დაჰყურებდა. თვალს არავინ უჯერებდა, და არცვინ მოელოდა, რომ ცალქა ასეთ თავხედობას გამოიჩენდა. დიახ, სწორედ რომ ციაგა იყო, ის ციაგა, ყოველ დილას ბაზრიდან კალათით ხუთიოდე კეფალს, ნივრისა და ოხრახუშის კონებს რომ ეზიდებოდა. ის ციაგა, დღისით ქალაქგარეთ ვენახს რომ ჩერკნიდა, საღამოობით კი თხებს წველიდა საჩიხში. აი, ზის იგი მუხლებზე ხელებშემოჭდობილი და თავმომწონედ გაჰყურებს ხალხს. მის უკან ქოხის ნახევრად ჩამონგრეული კედელი და კარის ჩარჩო მოჩანს. ზევიდან შეწითლებული ვაზის ფოთლები უჩრდილავენ, შიგადაშიგ ჩამუქებული ვაზის მტევნები მიმალულან. ირგვლივ ყველაფერი სამხრეთის მზის ხვატიან ჩრდილს მოუცავს, ესაა და ეს. და იგი ისეთივე ვეება, ოცამდე წყრთის სიმაღლისაა, როგორც ღვთაებრივი სილამაზის ასული მის მეზობლად აღმართულ ნახატზე.

— გინდ მთისოდენაც დახატო, სილამაზე მაინც არ მოემატება, — გაისმა ვიღაცის დამცინავი ხმა.

და ყველამ გაიცინა, ატყდა სტვენა, ფრუტუნი. ვიღაცამ იღრიალა:

— ჩაქოლეთ!

და სხვებმაც მიბაძეს.

— ჩაქოლეთ! ჩაქოლეთ!

მაგრამ აი, ღრიანცელი თანდათან მინელდა. ისინი, ვინც ყვიროდნენ და იცინოდნენ, ნელ-ნელა ჩაჩუმდნენ. ქვამომარჯვებული ხელები დაბლა დაეშვა. და უეცრად ყველაფერი მიწყნარდა. ასე მოულოდნელად მოვარდება ხოლმე მთიდან მძლავრი ქარი, დაბორიალდება, აღმუვლდება, მიწის მტვერს ცას შეახვეტს და გაუჩინარდება, თითქოს მიწამ უყოო პირი.

ხალხი შეჰყურებდა ციაგას და ციაგაც ნათელი თვალებით შემოსცქეროდა მათ. ერთმა ყმაწვილმა მხრები აიჩეჩა და თავის გვერდით მდგომს წასჩურჩულა:

11813

— იცი რა, დღემდე არც კი შემინიშნავს, თუ ციაგა ასეთი მომხიბვლავი იყო, რას იტყვი, განა აგრე არ არის?

და მეორემ ფიქრიანად უპასუხა:

— საოცარია, მაგრამ ნამდვილად ასეა. თვალი ვერ მომიშორებია

თითქოს ვიღაცას ყურს უგდებსო, მაღლა აზიდული წარბებით, შთაგონებული სახით დასცქეროდა მოედანს ციაგა. მის ბაგეებს ძლივსშესამჩნევი ბედნიერი ღიმილი დასტრიალებდა, ხოლო თვალებში კრძალულება, შიში და მოზღვავებული სიხარულით გამოწვეული ნეტარება გამოკრთოდა. იგი თითქოს ეურჩებოდა, თითქოს გაურბოდა იმ უსაზღვრო ბედნიერებას, მაგრამ მთელი მისი არსება მაინც ამ უჩვეულო ბეჭდნიერებისაკენ დაუოკებელ სწრაფვას გამოხატავდა. სახე გაცისკროვნებოდა იმ განუმეორებელი, ყოვლისმომცველი ბედნიერების შუქით, რომელიც უსიტყვოდ გვამცნობს, რომ თითქოსდა ის, ვისაც იგი დიდიხანია მალულად გულით ატარებს, ამ წუთას მისკენ დაიხარა და წყნარი, შთაგონებული ხმით ნაზად ჩასჩურჩულა:

— ციაგა, ჩემო სიცოცხლეო, მიყვარხარ!

ხალხი მდუმარედ და გაოგნებული შეჰყურებდა მას. თითქოს ყველას დავიწყებოდა, რომ ეს სწორედ ის ციაგა იყო, ვინც ყოველ დილით ბაზრიდან მურა თევზებს და ვერცხლისფერ ნივრის კონებს ეზიდებოდა. ველარც იმას ამჩნევდნენ, რომ მას სახე ოდნავ ფართო ჰქონდა, ხოლო თვალები კი ოდნავ ელამი. ამ წუთში ყველას ეჩვენებოდა, რომ თუნდაც სრულიად უშნო ყოფილიყო იგი, ამ საოცარი შინაგანი შუქით გაცისკროვნებული თვით სიმახინჯეც ჯერ არნახულ სილამაზედ გარდაიქმნებოდა.



თითქოს ჩახჩახა მზე დამხობოდა მოედანს, უხვი, ბედნიერების შუქი გამოსჭვიოდა ციაგას ღიმმორეული სახიდან და ირგვლივ ყოველივეს უჩვეულო სიხარულის გრძნობით ავსებდა. ყველამ თავისი პირველი უმანკო სიყვარულის სანეტარო წუთები გაიხსენა. იმავე შუქით, რომელიც ციაგას ხატებიდან ილვრებოდა, ცისკროვნდებოდა თითოეულის სატრფოს საყვარელი სახე. მათ თვალწინ ცოცხლდებოდა საიდუმლო პაემანის, პირველი უცოდველი ალერსის სანეტარო წუთები, როცა მოულოდნელად ისახება და იფურჩქნება მარად უჭკნობი მშვენიერება, შემოქმედს რომ ღრმად შთაუნერგავს უკლებლივ ყველა ქალწულში.

მოხუც მეჯოგეს გაუნათდა ჭირნახული, ღრმად დაღარული სახე, ალერსიანად გადახედა თავის დედაბერს, გაუღიმა და მსუბუქად გაჰკრა გამხმარი იდაყვი მსუქან გვერდში.

— არა, გახსოვს ხომა დედაკაცო... ჰე, ჰე, მაშინა, წყაროსთანა, შენ თხები მოგელალა დასარწყლულებლად. მე შურდულივით ღობეს გადმოვევლე... მთის წვერზე ახალი, ნამგალა მთვარე შემომჯდარიყო, ირგვლივ ველური ტყემლები გაფოთლილიყვნენ...

და მისჩერებოდნენ მას ფაშფაშა, წითური სახიდან დარცხვენილი ღიმილით, ესოდენ ახლობელი, დიდი ხნის მივიწყებული საყვარელი თვალები. და გასხივოსნებოდა ეს სახე იმავე მარადიული შუქით, რომელიც ციაგას ლამაზი სახიდან ილვრებოდა. მეჯოგე ხითხითებდა და დამსკდარი, დაკოჟრებული ხელით ცრემლებს იწმენდდა დაწითლებულ თვალთაგან; იგრძნო, მხოლოდ თავისი ბრალია, რომ ვერ შეძლო დაეფასებინა საუნჯე, რაიც მას ეკუთვნოდა, მხოლოდ თვითონ არის დამნაშავე, რომ მისი ცხოვრება ასე უფერულად და უსიხარულოდ მიდიოდა.

და მეჯოგე იყო პირველი, ვინც ყველას გასაგონად იყვირა:

— ხალხნო, დაე იყოს ცალქა სამგზის დაფნის გვირგვინოსანი!

თარგმნა ნინო ბღნიაშვილმა

# ფეიქართა ქალაქის დიასახლისები

ივანოვოს ჩვენი „ქვეყნის საფეიქრო სამქროს“ უწოდებენ. გასული ხუთწლედის მანძილზე ივანოველებმა საბჭოთა კავშირის თითოეულ მცხოვრებზე გაანგარიშებით 23 მეტრი ხარისხოვანი ჩითი, სატინი, შტაპელი, საკოსტიუმე ტრიკო, გობელენები და სხვა საფეიქრო პროდუქცია გამოუშვეს.

საინტერესო ცხოვრებით ცხოვრობს დღეს ივანოველი ფეიქარი ქალი. ქუჩასა და თეატრში იგი მოხდენილია და ლამაზი; უმაღლესი სასწავლებლისა და ტექნიკუმის აუდიტორიებში, საღამოს სკოლაში მტკიცედ და შეუპოვრად ეუფლება ცოდნას; პარტიულ ყრილობაზე, საბჭოს სესიებზე წარმოთქმულ მის სიტყვაში ჩანს სახელმწიფოებრივად აზროვნების უნარი; ოჯახში ბედნიერი დედა და მოსიყვარულე ცოლია.

ივანოველ მუშა ქალებს კიდევ ერთი ძვირფასი თვისება ახასიათებთ — საზოგადოებრივი აქტივობა. ეს მათი თვისება მთელი სისრულით ვლინდება ქალთა საბჭოების მუშაობაში.

* * *

...იგი ოთახში კი არ შემოვიდა, არამედ შემოიჭრა. მის სახეს ბედნიერების ღიმილი ანათებდა.

— მე დედა ვიქნები! ჩვენ შვილს ველოდებით! მადლობა თქვენ ყველაფრისათვის! — სხაპასხუპით წარმოთქვა ქალმა.

დიდი ივანოვოს მანუფაქტურის ქალთა საბჭოს თავმჯდომარეს ვალენტინა ევლამპის ასულ მოტოვას მოაგონდა, როგორ მოვიდა ამ ორი წლის წინათ ქალთა საბჭოში ეს ქალი, თვალცრემლიანი და შეშფოთებული. როგორც ჩანდა, მის ოჯახს დანგრევა ემუქრებოდა... ეს ისტორია გრძელია, მასში ბევრი მოქმედი პირია და ბევრი მღელვარება. მაგრამ აი შედეგი — ბედნიერი ღიმილი და მადლობის სიტყვები.

ქალთა საბჭოში მოდიან გამუდმებით, მოდიან სხვადასხვა საჭირბოროტო საკითხებზე. გქონდეს უნარი მოუსმინო ადამიანს, გაიგო მისი გასაჭირი, აუცილებლად დაეხმარო — აი, რა გაიხადეს წესად თავის მუშაობაში ივანოველმა აქტივისტმა ქალებმა.

დიდი ხნის მანძილზე ქალთა საბჭო შეფობას უწევდა მრავალშვილიანი დედის — მქსოველ ანა გრიგოლის ასულ სიროტკინას ოჯახს: დაეხმარენ სახლის გაფართოებაში, ორთქლით გათბობის მოწყობაში, ბავშვებს შეუძინეს საწერი მაგიდები და კარადა, სადღესასწაულოდ მათთვის ყიდულობდნენ ახალ ნივთებს, სხვადასხვა საჩუქრებს. ყველამ იცის, რა ძნელია ათ ბავშვს ყოველდღე მოუმზადო სადილი, დაურეცხო და დაბანო. ქალთა საბჭომ თხოვნით მიმართა ფაბრიკის დირექტორს — ეყიდათ სიროტკინას ოჯახისათვის სარეცხი მანქანა და გაზქურა.

ბევრ ვაებას იტანენ ქალები და ბავშვები ლოთი მამებისაგან. მათთან შეხვედრა როდი სიამოვნებდათ ქალთა საბჭოს წევრებს, მაგრამ როგორც პრაქტიკამ გვიჩვენა, ალკოჰოლის მოყვარულებთან ასეთი შეხვედრა კარგი გამოსაფხიზლებელი საშუალება გახდა.

სწორი არ იქნებოდა, გვეფიქრა, რომ ქალთა საბჭო მარტო ოჯახურ საქმეებზე ზრუნავს. იგი საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების მოგვარებაშიც აქტიურად მონაწილეობს. ამოწმებს საცხოვრებელი სახლების რემონტის ხარისხს, თვალყურს ადევნებს საბავშვო ბაღებში ბავშვთა კვებას, მუშათა სასადილოების მუშაობას.

შიგასარეხი დაზგების ქარხნის ქალთა საბჭომ, რომელსაც ელენე თედორეს ასული ჩესნოკოვა მეთაურობს, მუდმივი კავშირი დაამყარა იმ სკოლებთან, სადაც ქარხნის მუშების შვილები სწავლობენ. საბჭო აწყობს პედაგოგების გამოსვლას მშობლების წინაშე. ატარებს საუბრებს უფროსკლასელებთან პროფესიის არჩევაზე, მართავს ექსკურსიებს ქარხანაში. ქალთა საბჭომ იმისათვის, რომ იძულებული გაეხადა დაუდევარი მამები ჩაწვდომოდნენ ბავშვების სასკოლო საქმეებს, № 28 სკოლაში მოაწყო მამების კონფერენცია.

ბალაშოვის სახელობის ფაბრიკაში ქალთა საბჭო, რომელსაც ზინაიდა იაკობის ასული ბარსუკოვა მეთაურობს, თვალყურს ადევნებს, თუ როგორ ითვისებენ ქალები ახალ ტექნიკას, როგორ ასრულებენ ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებს, საბჭო ზრუნავს მაღალნაყოფიერი შრომისათვის აუცილებელი პირობების შესაქმნელად.

უკანასკნელ წლებში ფაბრიკაში შეიცვალა მთელი ძველი მოწყობილობა, საამქროებსა და განყოფილებებში დაიდგა თანამედროვე დაზგები, მანქანები. ქალთა საბჭოს ერთერთ სხდომაზე საუბარი გაიმართა საამქროებში ტემპერატურა-ტენიანობის რეჟიმის შესახებ. სხდომაზე მოწვეული იყვნენ წარმოების უფროსები. და აი შედეგიც: სართავ საწარმოში დაამონტაჟეს ოთხი სავენტილაციო დანადგარი, საქსოვში — რეკონსტრუირებულ იქნა სავენტილაციო სისტემა, აიგო სართავი ფაბრიკის ახალი საყოფაცხოვრებო კორპუსი, რომელშიც მოთავსდა სასადილო, საშხაპე დანადგარები, ყოველი მუშა ქალისათვის — ცალკე გარდერობი...

ქალთა საბჭო გამუდმებით ადევნებს თვალს იმას, რომ მოზარდები არ მუშაობდ-

---

* იბეჭდება შემოკლებით.

ფეიქარი ზოია კუზოვა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, სოციალისტური შრომის გმირი. ფოტო ნ. მატორინისა





ეროვნული ბიბლიოთეკა

ნენ ღამით და ზედმეტ საათებში. საბჭოს დავალებით, საფაბრიკო პოლიკლინიკის უფროსი მედდა ტ. ზ. ლიპანსკაია ცალკეული საამქროების მიხედვით ამოწმებს, თუ რა პირობებში მუშაობენ ქალები, რომლებსაც ექიმებმა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მისცეს ცნობები უფრო მსუბუქ სამუშაოზე გადაყვანისათვის.

* * *

ქალთა საქალაქო საბჭოში შედის ორმოცი მოწინავე ქალი: მუშები, პარტიული აქტივისტები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, შრომის ვეტერანები. საბჭოს ხელმძღვანელობს პროფესორი ნადეჟდა ალექსანდრეს ასული როშჩინა.

საბჭოს ერთ-ერთ სხდომაზე, რომელზეც მოწვეული იყვნენ ფაბრიკებისა და სავაჭრო ორგანიზაციების ხელმძღვანელები, მედიცინის მუშაკები, მოისმინეს მოხსენება ქალაქის საფეიქრო საწარმოებთან არსებულ ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულებების შემოწმების შედეგებზე. გასულ ხუთწლედში ჩვენს ქალაქის სკოლამდელ დაწესებულებებში ოთხი ათასით გაიზარდა ადგილების რაოდენობა. სულ კი საბავშვო ბაგებსა და ბაღებში 20 ათასზე მეტი ბავშვი იზრდება. აღმზრდელთა კადრები, ბაღებისა და ბაგების აღჭურვილობა, ბავშვთა კვება, სამედიცინო მომსახურება, სააღმზრდელო მუშაობის შინაარსი — ყველა ამ საკითხით დაინტერესებულია ქალთა საქალაქო საბჭო.

ქალთა საქალაქო საბჭოს ინიციატივით პარტიის საქალაქო კომიტეტის ბიურომ განიხილა კომუნალური მეურნეობის საწარმოთა მუშაობისა და მომსახურების სფეროს საკითხი.

ქალთა საბჭომ აქტიური მონაწილეობა მიიღო პარტიის საქალაქო კომიტეტის პლენუმის მომზადებაში, რომელმაც იმსჯელა წარმოებაში და ყოფაცხოვრებაში ქალთა შრომის პირობების გაუმჯობესების საკითხზე.

* * *

„რომაშკა", „ივუშკა" — ასეთი რომანტიკული სახელები ჰქვია ქალთა კლუბებს დიდი ივანოვოს მანუფაქტურასა და ბალაშოვის სახელობის ფაბრიკაში. სულ ქალაქში ათი ასეთი კლუბია. მათ დევიზად შეიძლება გახდეს სიტყვები: „დაისვენე, შეიცანი..." კლუბის საბჭოს სხდომა — ეს არის შეხვედრა საინტერესო ადამიანებთან, საუბარი იმაზე, თუ რა აღელვებს ცოლებს, დედებს.

სამი წლის წინათ ივანოვოში ქალთა საქალაქო კლუბი დაარსდა. პატარა წიგნაკი კოხტა ყდით, ზედ ქალის პროფილი, წითელი მიხაკი, ასეთია საქალაქო კლუბის შეხვედრების მოსაწვევი ბარათი. პირველ გვერდზე ქალთა კლუბის საბჭოს მიმართვა: „ძვირფასო მეგობრებო! ჩვენ გავხსენით თქვენთვის ქალთა კლუბი, რომ დაგეხმაროთ ცხოვრების რთული საკითხების, ოჯახური ურთიერთობის, ბავშვთა აღზრდის საკითხების გარკვევაში, ყველაფერში, რასაც ყოფაცხოვრება ეწოდება.

ჩვენს კლუბში თქვენ შეხვდებით პედაგოგებს, მხატვრებს, ექიმებს, კულინარებს, მოდელიორებს, მსახიობებს".

შემდეგ აღნიშნულია შეხვედრის თემები: „თქვენი შვილები სკოლაში წავიდნენ", „რაში მდგომარეობს ქალის სილამაზე", „შნოიანი და სადა", „ბინის სილამაზე", „მუსიკა სახლში", „თანამედროვე მოდის ძირითადი მიმართულებანი", „თქვენი ქალიშვილი თექვსმეტი წლისაა".

როცა საოლქო გაზეთის — „რაბოჩი კრაის" რედაქციაში სიტყვა ჩამოვარდა შემოვიღოთ ქალებისთვის მუდმივი გვერდი, თითოეულმა ჩვენგანმა, რომლებიც მიწვეული ვიყავით საკითხის განხილვაში მონაწილეობის მისაღებად, მხურვალედ დავუჭირეთ მხარი ამ იდეას. ჩვენ — გაზეთის აქტივისტი ქალების ჯგუფი: მოდელების სახლის სამხატვრო ხელმძღვანელი ს. ვ. სუზდალცევა, ექიმი გ. ლ. შუმმანოვა, კამვოლური კომბინატის მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორი მ. ლ. ზორინა და სხვები, ერთად ვმსჯელობდით რა სახელწოდება მიგვეცა გვერდისათვის, როგორ და რაზე გვესაუბრა ქალებთან.

1970 წლის 31 ოქტომბერს „რაბოჩი კრაის" მეორე გვერდი გამოვიდა სახელწოდებით — „წითელი თავსაფარი". „ამ გვერდს, — ნათქვამი იყო რედაქციის მიმართვაში, — ჩვენ ვუძღვნით ქალებს, რომელთა ნათელი ბედი განუყოფლად დაკავშირებულია ჩვენი მხარის წარსულთან, აწმყოსთან და მომავალთან. სახელწოდებით — „წითელი თავსაფარი" ჩვენ გამოვხატეთ ჩვენი ღრმა პატივისცემა ივანოველ ქალთა ყველა თაობისადმი, იმათადმი, ვინც მიდიოდა სოციალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის ბრძოლის ეკლიანი გზით, ვინც ეხმარებოდა საბჭოთა ხელისუფლებას განმტკიცებაში, იცავდა მას მტრების ხელყოფისაგან, იმათდამი, ვინც ახლა ამრავლებს მის დიდებასა და სახელს".

ცხრაჯერ გამოვიდა „წითელი თავსაფარი". მათში დაიბეჭდა წერილები ქალთა საბჭოების პატარა და დიდ საქმეებზე, წარმოების მოწინავე ადამიანებზე, მკითხველ ქალთა წერილები, პასუხები მათ შეკითხვებზე, კეთილი რჩევები. ეს გვერდები მკითხველთა მოწონებითა და სიყვარულით სარგებლობდა.

* * *

ივანოვოში ათობით ქალთა საბჭოა, ათასობით აქტივისტით, თითოეულს თავისი სამუშაო აქვს, თავისი ოჯახური მოვალეობანი, მაგრამ ყველა ისინი ერთნაირი გულითადობით ახმარენ თავისუფალ საათებს საზოგადოებრივ საქმიანობას. მათ მრავალფეროვან მუშაობაში მჟღავნდება ჭეშმარიტი მოუსვენრობა იმისათვის, რომ რაც შეიძლება უკეთესად, სრულად განხორციელდეს ცხოვრებაში სახელმწიფოებრივი ზრუნვა ქალებზე, მათ საჭიროებებსა და მოთხოვნილებებზე.

**ვ. პანკრატოვა,**

**სკკპ ივანოვოს საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე, ქალთა საქალაქო საბჭოს წევრი.**

**„რაბოტნიცა", № 9. 1971 წ.**

# 8 მარტი და აფხაზეთის ქალთა განთავისუფლების პირველი ნაბიჯები

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებისა და საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ კომუნისტური პარტიის ერთ-ერთ მთავარ ამოცანას ქალთა განთავისუფლება და სოციალიზმის მშენებლობაში მათი ფართოდ ჩაბმა წარმოადგენდა.

არც ერთ სახელმწიფოს, არც ერთ დემოკრატიულ კანონმდებლობას არ გაუკეთებია ქალისათვის იმის ნახევარიც კი, ამბობდა ლენინი, რაც გააკეთა საბჭოთა ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველ თვეებში.

მაგრამ ქალსა და მამაკაცს შორის არსებული უთანასწორობის მოსპობა, რა თქმა უნდა, დეკრეტებით, ერთი ხელის მოსმით არ შეიძლებოდა. საჭირო იყო ხანგრძლივი და სისტემატური მუშაობა მშრომელ ქალთა პოლიტიკური და კულტურული ჩამორჩენილობის აღმოსაფხვრელად, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი პასიურობის დასაძლევად.

საბჭოთა ხელისუფლების პირველ წლებში ქალთა სრული ემანსიპაციისა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩასაბმელად პარტიულ ორგანოებთან შეიქმნა ქალთა განყოფილებები. ეს განყოფილებები მრავალი სახის ღონისძიებებს ატარებდნენ: იწვევდნენ კრებებს, ქალთა კონფერენციებსა და ყრილობებს, აწყობდნენ წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლებს, გლეხ ქალთა კუთხეებს.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა ამ დროს ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის ორგანიზებულად ჩატარებას.

პირველად ქალთა საერთაშორისო დღე ქართველმა ქალებმა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორი კვირის შემდეგ იდღესასწაულეს. ეს იყო ქალთა მასობრივი გამოსვლა, რომელიც დიდ მანიფესტაციად გადაიქცა. „მხოლოდ დღეს ვიგრძენით, რომ ადამიანები ვართ, მხოლოდ დღეს გავიგეთ, რა არის საბჭოთა ხელისუფლება და რას გვაძლევს იგი ჩვენ“, — აღელვებული ამბობდნენ მშრომელი ქალები 8 მარტის დღესასწაულის დღეებში. ეს იყო ჭეშმარიტად სასიხარულო დღე ქალის ცხოვრებაში. უფრო ფართოდ აღინიშნა ეს დღესასწაული 1922-1923 წლებში.

8 მარტის დღესასწაულის დღეებში რესპუბლიკის ქალაქებსა და მაზრებში ტარდებოდა უპარტიო ქალთა კონფერენციები, იმართებოდა ქალთა დემონსტრაციები, მიტინგები.

ქალთა შორის მუშაობა აფხაზეთში გაცილებით უფრო რთული და ძნელი იყო, ვიდრე ჩვენი ქვეყნის სხვა კუთხეებში. აქ ქალი ძალიან დაბეჩავებულ და დაჩაგრულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. იგი არ ითვლებოდა საზოგადოების წევრად, პიროვნებად. მას იმის უფლებაც კი არ ჰქონდა ოჯახის წევრ მამაკაცებთან ერთად სუფრასთან დამჯდარიყო ან ბაზარში წასულიყო სანოვაგის საყიდლად. საზოგადოებრივი სამუშაო ან სამსახური სირცხვილად ითვლებოდა. აფხაზი ქალი მთელ სიცოცხლეს საჭმლის მზადებას, რეცხვას და ქმარ-შვილის მოვლას ანდომებდა. ამ ზნე-ჩვეულებისა და ადათების მიხედვით ქალს, რა თქმა უნდა, კრებაზე წასვლის ფიქრიც კი არ შეეძლო, საზოგადოებრივ საქმიანობაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. ამიტომ ქალთა შორის მუშაობის დროს დიდი სიფრთხილე იყო საჭირო. ანგარიში უნდა გასწეოდა ადგილობრივ შეხედულებებს და ადათ-წესებს, რომ სარგებლობის ნაცვლად ზიანი არ მოგვეტანა ქალებისათვის.

თვით აფხაზი ქალიც საუკუნეებით შეთვისებულ ჩვეულებათა გადახვევას დიდ შეურაცხყოფად თვლიდა. ქალთა განყოფილებას ჯერ მამაკაცებთან უნდა ჩაეტარებია მუშაობა, რომ გაეცნო მათთვის ქალთა განყოფილების მიზანი და ამოცანები და შემდეგ დაეთანხმებინა ისინი ქალთა კრების მოწვევაზე.

აფხაზეთის პარტიული ორგანიზაციები შეუძლებლად თვლიდნენ იმ დროისათვის ქალთა კონფერენციის მოწვევას. მაგრამ ქალთა განყოფილებამ თავის აქტივთან და ორგანიზატორებთან ერთად გაშალა ფართო ახსნა-განმარტებითი მუშაობა აფხაზეთის სოფლებში და მამაკაცებთან შეთანხმებით უზრუნველჰყო ქალთა დელეგატების არჩევა.

აფხაზეთის უპარტიო ქალთა პირველი კონფერენცია გაიხსნა 1923 წლის 27 მარტს სოხუმში, შრომის სასახლეში. კონფერენციას დაესწრო 49 დელეგატი, 24 — სოხუმიდან, 25 — გაგრის, გუდაუთის, სამურზაყანოს, კოდორისა და გუმისთის მაზრებიდან.

აფხაზეთის უპარტიო ქალთა პირველი კონფერენციის მუშაობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა. ეს იყო პირველი ინტერნაციონალური შეკრება. რომელსაც მრავალი ეროვნების წარმომადგენელი დელეგატი ქალი ესწრებოდა.

კონფერენციის განსახილველად წარმოდგენილი იყო შემდეგი საკითხები: საბჭოთა სახელმწიფოს საერთაშორისო და საშინაო მდგომარეობა; ქალთა განყოფილების მუშაობის შედეგები და შემდგომი ამოცანები; სოციალური აღზრდის ამოცანები და დედათა და ჩვილთა დაცვის შესახებ; პროფკავშირებში ქალთა მონაწილეობა და აფხაზეთში მიწათმოწყობისა და მიწათსარგებლობის მდგომარეობა.

კონფერენციისადმი მისალმებაში აფხაზეთის სახალხო კომისართა საბჭო აღნიშნავდა: „დღეს აფხაზეთის მშრომელი ქალი პირველად აცხადებს ხმამაღლა თავის სოლიდარობას მთელი მსოფლიოს პროლეტარებისადმი. ეს დღე ყოველთვის იქნება სამახსოვრო აფხაზეთის მთელი მშრომელებისათვის... დაე, ეს პირველი ნაბიჯი, გადადგმული ახალი ნათელი ცხოვრების მშენებლობისაკენ, ყოფილიყოს დიად კომუნისტურ მშენებლობაში ქალთა აქტიური მონაწილეობის დასაწყისი“.

კონფერენციაზე ბევრი იმსჯელეს სასოფლო საბჭოების მუშაობაში ქალთა მონაწილეობის, ბავშვთა დაწესებულებების გახსნის, მოზარდი თაობის სწავლა-განათლების და სხვა აქტუალურ საკითხებზე.

სიტყვით გამოსული დელეგატი ქალები ლაკობა — გუდაუთიდან, კობახია — კოდორიდან, რუტჩიდი — სამურზაყანოდან, პეტრიაშვილი — გაგრიდან, იაკუშკინი — კოდორიდან და სხვები მადლობას უხდიდნენ საბჭოთა მთავრობას და კომუნისტურ პარტიას ქალთა და ბავშვთა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე ზრუნვისათვის.

კონფერენციის მსვლელობის დროს, 27-30 მარტს, აფხაზეთის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილებამ მრავალი საინტერესო ღონისძიებები გაატარა დელეგატ ქალთა პატივსაცემად. მოეწყო საწარმოებისა და ბავშვთა დაწესებულებების დათვალიერება, დელეგატებისათვის ჩატარდა მოხსენებანი მიმდინარე პოლიტიკის საკითხებზე, მოეწყო კინოფილმების ჩვენება და კონცერტები.

29 მარტს, როცა კონფერენციის მუშაობა დასასრულს უახლოვდებოდა, დარბაზში მსხდომთ მოესმათ სასულე ორკესტრის ხმა, ეს სოხუმის სამხედრო ნაწილი უახლოვდებოდა სასახლეს. დელეგატები ქუჩაში გამოვიდნენ. გაიმართა საზეიმო შეხვედრა. დელეგატმა ქალმა კატია ლაკობამ ნაწილს გადასცა სამახსოვრო დროშა, როგორც მშრომელ ქალთა და წითელ არმიას შორის მტკიცე კავშირის სიმბოლო.

30 მარტს აფხაზეთის უპარტიო ქალთა I კონფერენციის დელეგატები შეიკრიბნენ ქალთა განყოფილებაში საბოლოო რჩევა-დარიგების მისაღებად. დელეგატებს მიეცათ მითითებანი შემდგომი მუშაობის გაშლისათვის და საჩუქრები — საკაბეები და ჟურნალ-გაზეთები.

კონფერენციის ნაყოფიერი მუშაობითა და ასეთი ყურადღებით აღფრთოვანებულმა დელეგატებმა, ადგილებზე დაბრუნების შემდეგ აქტიური მუშაობა გაშალეს გლეხ ქალთა შორის და ისეთ მგზნებარე აგიტატორებად იქცნენ, რომ შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა.

უდიდესი დარაზმულობით აღინიშნა ქალთა საერთაშორისო დღე 1924-25 წლებში. 1924 წლის 8 მარტისათვის, როცა ჩვენთან უკვე აღარ იყო ვლადიმერ ილიას ძე ლენინი, პარტიამ წამოაყენა ლოზუნგი: გახსოვდეთ და შეასრულეთ ლენინის ანდერძი! ამან მხურვალე გამოძახილი ჰპოვა მუშა და გლეხი ქალების გულში. 1925 წლის 8 მარტის დღესასწაული ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის წინადადებით ჩატარდა, როგორც საერთო პროლეტარული პოლიტიკური კამპანია. იგი მიზნად ისახავდა დაერაზმა ქალთა უფართოესი მასები კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების გარშემო. დღესასწაული ჩატარდა ლოზუნგით: — ამიერკავკასიის მშრომელო ქალებო! გახსოვდეთ მშრომელთა ბელადის ანდერძი, იარეთ ლენინის გზით, შედით ლენინის პარტიაში, უფრო მჭიდროდ შეაკავშირეთ თქვენი რიგები საბჭოთა ხელისუფლების გარშემო!

ასეთი ლოზუნგით ჩატარდა საერთაშორისო დღესასწაული აფხაზეთის ქალაქებსა და სოფლებშიც. 1925 წლის 8 მარტს სოხუმში, საზეიმო სხდომის შემდეგ, მუშაობას შეუდგა უპარტიო ქალთა II კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდა ოთხმოცამდე ქალი. კონფერენციამ განიხილა ქალთა განყოფილების მუშაობის შედეგები და აფხაზეთის ქალების მონაწილეობა მრეწველობაში. კონფერენციაზე აღინიშნა, რომ აფხაზეთის კოოპერაციულ გაერთიანებაში იმჟამად მონაწილეობდა მხოლოდ ერთი ქალი. საჭირო იყო მასში ქალების ფართოდ ჩაბმა. კონფერენციამ განსაზღვრა ქალთა მონაწილეობის აუცილებლობა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის სხვადასხვა დარგებში.

აფხაზეთის უპარტიო ქალთა I და II კონფერენციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სოციალიზმის მშენებლობაში აფხაზეთის ქალთა ჩაბმისათვის.

და დღეს სიამაყით შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ ყველა მნიშვნელოვანი წარმატება, რომელიც მოიპოვა აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ სახალხო მეურნეობის განვითარებისა და კულტურის აყვავების საქმეში, მიღწეულია აფხაზეთის სახელოვანი ქალების აქტიური მონაწილეობით.

დომნა გოგატიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მეტოქეები

ნ. მაკაროვა

ამას წინათ, ერთ ახალგაზრდულ მუშათა კლუბში გოგონებთან საუბრის შემდეგ გადმომცეს წერილი: „თქვენის აზრით, შეიძლება თუ არა ცოლიანი კაცის შეყვარება?“

წერილი ყველას წავუკითხე. გაჩაღდა კამათი. ზოგი იმ აზრისა იყო, რომ სიყვარული ყველაზე უმაღლესი რამაა. რაკი შეიყვარე, ცოლიანია ის თუ უცოლო, იბრძოლე შენი ბედნიერებისათვის! ამავე დროს ამტკიცებდნენ, რომ კარგი ცოლისაგან ქმრები არ მიდიან, მაშასადამე, ჩვენ მამაკაცს უნდა ვუბიძგოთ ისევ იმ ოჯახისაკენ, რომელმაც თავი მოაბეზრა? რისთვის არის ეს საჭირო?

და, აი, სწორედ ამ დროს წამოდგა ერთი გოგონა, რომლის ამბავიც მინდა დღეს გიამბოთ.

— მაინც რა იოლად გამოგდით ყველაფერი! — წამოიწყო მან, მაგრამ უცებ შეჩერდა და თავის ადგილზე დაეშვა. როგორღაც მწარედ წარმოთქვა ეს.

— თქვენ რა, მიტოვებული ცოლი ხართ? — შესძახეს დარბაზიდან. ის არ გაეპასუხა.

მოგვიანებით შევეცადე ხალხში მეპოვნა ის გოგონა, რომელმაც ვერ დაამთავრა თავისი „სიტყვა“, მაგრამ ვერა ვნახე. რამდენიმე დღის შემდეგ კი ეს წერილი მივიღე:

„მე მიტოვებული ცოლი არა ვარ, — წერდა ვალია( ასე ეძახდნენ იმ გოგონას, რომლითაც მე დავინტერესდი). — 21 წლისა ვარ. ერთი წლის წინათ სხვისი ქმრის გული „მოვინადირე“: ის მზად იყო ჩემი გულისთვის ოჯახი დაეტოვებინა. მაშინ მე ზუსტად ისე ვმსჯელობდი, როგორც ჩემი მეტოქეები კამათის დროს. მაგრამ... იქნებ, თქვენ შეძლოთ ჩემი ამბავი მოუყვეთ იმ გოგონებს, რომლებიც მხოლოდ თავიანთ თავზე ფიქრობენ და სხვის ოჯახებს ანგრევენ...“

დღეს ვალიას თხოვნას ვასრულებ, აი მისი წერილიც:

„...წელიწადნახევრის წინათ, — წერდა იგი, — ჩვენთან განყოფილებაში მოვიდა ახალი ინჟინერი, სერგეი ნიკოლაევიჩი, გვარს არ ვასახელებ. ორმოც წელს ადარაფერი უკლდა, ლამაზი იყო, ჭკვიანი, სალმიანი, ცხოვრებაში ბევრის მნახველი, კარგად შეეძლო ნანახის მოყოლა. თავი ძალიან მორიდებულად ეჭირა. ყველას მიმართ ერთნაირი იყო — ამხანაგური. და აი... მერე ყველაფერი მოულოდნელად მოხდა. როგორც ეს ცხოვრებაში ხდება. შემიყვარდა. შემიყვარდა ჩემს სიცოცხლეში პირველად. იყო უძილო ღამეები, სიხარული, სევდა. მალე ვიგრძენი, რომ მასაც თავბრუ დაესხა. ჩვენ ერთმანეთს გამოვუტყდით და საქმე სერიოზულად წარიმართა.

დიახ, ის ცოლიანია, ჰყავს ცამეტი წლის ვაჟიშვილი — საშა. მაგრამ რა მესაქმება მათთან, ალბათ, მის მიერ მოძულებულ ვიღაც ქალთან და უცნობ მოზარდთან! რანი არიან ისინი ჩემი სიყვარულის წინაშე? და გადავწყვიტე უკან არ დამეხია. ჩემს უფლებად ვთვლიდი ბევრი მომეთხოვა. ვსაყვედურობდი სიმხდალეს, ვეფიცებოდი, რომ მეტს ველარ მნახავდა, თუ ცოლად არ მითხოვდა. სერგეი მევედრებოდა, არ მიმეტოვებინა, მარწმუნებდა, რომ ცოლი არ უყვარდა, რომ მზად იყო ჩემი გულისათვის შვილიც გაეწირა! და გასწირა კიდეც: დედასთან გადავიდა საცხოვრებლად. ჩვენ შევთანხმდით, რომ შვებულებას ერთად გავატარებდით ვოლგაზე.

მაშინ ფიქრადაც არ გამივლია, რა მოჰყვებოდა ამას. ვოცნებობდი მხოლოდ იმ თვეზე, როდესაც ერთად ვიქნებოდით.

და, აი, უცებ, გამგზავრების წინ, სერგეი ნიკოლაევიჩის ცოლისაგან ბარათი მივიღე. მე ველოდი მხილებას, უხეშ სიტყვებს. და რა უბრალოდ მოჩდებოდა ყოველივე ეს: მიტოვებული ცოლი გაშმაგებით მრისხანებს გამარჯვებულ მეტოქეზე! შეიძლებოდა მხოლოდ ბოროტად გაგცინებოდა. მე არც წარმომედგინა, თუ მეტოქეთა შორის საკითხის გადაწყვეტა ლანძღვის გარეშე შეიძლებოდა. მაგრამ ოლღას წერილი მშვიდი იყო, როგორც მეჩვენა, გადაჭარბებულადაც კი. იგი უბრალოდ მიამბობდა სერგეისთან ერთად გატარებულ ცხოვრებაზე. სასოწარკვეთილებაშიც კი ჩავვარდი, ვცდილობდი ჩემი თავი დამერწმუნებინა: მას არც თუ ძალიან უყვარს ქმარი-მეთქი! თუმცა წერილი დავხიე, მაგრამ მან ჩემში განაგრძო სიცოცხლე, და თავის საქმეს შეუდგა — სერგეის მიმართ ჩემს განსაკუთრებულ უფლებებზე შემირყია რწმენა.

ოლღა წერდა! დარწმუნებული ვარ შენ ჭკვიანი გოგონა ხარ და თვითონ მიხვდები, რომ ინგრევა კარგი და არა ცუდიო. „შეხე, რა მოუვიდა სერგეის, — კეთილი, პატიოსანი კაცი, უნებისყოფო მატყუარა და უწესო გახდა“.

აღმოჩნდა, რომ ოლღა უკვე ორი თვეა, რაც მძიმე ოპერაციის შემდეგ საავადმყოფოში იწვა. ვიფიქრე, აი თურმე რატომ არის ასე იოლი ჩემთან მისი ყოფნა.

„რა სიყვარულია ეს, თუ კი წესიერ ადამიანს არამზადად აქცევს!“ მახსენდებოდა ოლღას სიტყვები. და სხვაც: „ჩვენ ხომ მეგობრები ვიყავით, ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობდით წლობით, და საშასთვისაც ნამდვილი მამა იყო, შვილს უნერგავდა ყოველივე კარგს, ოცნებობდა მის მომავალზე...“

მე არ შემეძლო არ მეფიქრა იმ დაწყევლილ წერილზე და თანდათანობით ჩემს თვალწინ ყველაფერი სულ სხვა სახით იხატებოდა. თქვენ, ალბათ, იცით: ბევრი გოგონა ფიქრობს, რომ ცოლსა და ქმარს შორის, რომლებიც მრავალ წელს ცხოვრობენ ერთად, არაფერი აღარ შეიძლება იყოს, გარდა შეჩვევისა და მოვალეობისა. მეც ასე ვფიქრობდი. აქ კი უცებ სიყვარული დავინახე, სიყვარული, რომელიც არსებობდა. და რაკი არსებობდა — ხომ არ შეიძლებოდა ამაოდ ჩავლილიყო? ის, რომ ამ ორ ადამიანს ეს დიდი გრძნობა სულ ახლახან აკავშირებდა, მარტო ოლღას წერილიდან როდი ვიგრძენი. მე შემეძლო მისთვის არ დამეჯერებინა. ეს სტრიქონებს შორისაც ამოიცნობოდა: აზრის დალაგების ისეთსავე მანერაში, როგორიც სერგეის სჩვეოდა, გამოთქმის რაღაც განსაკუთრებულ სიმკაცრესა და თავაზიანობაში, და მათ სიტყვებიც კი, ხშირ შემთხვევაში, ერთი და იგივე ჰქონდათ...

აზრმა გამიელვა, რომ ასეთი რამ შეიძლება ჰქონდეთ მხოლოდ იმ ადამიანებს, რომლებიც ერთმანეთთან შეხმატკბილებულად ცხოვრობდნენ. სერგეის თვალყურის დევნება დავუწყე და მაშინ ულმობელი სიცხადით შევნიშნე ის, რაც არ მინდოდა და არ შემეძლო ადრე დამენახა: ის იტანჯებოდა და შფოთავდა. ის ატყუებდა იმ ქალსაც და მეც.

ერთხელ მან თქვა, ტრესტში თათბირი მაქვსო. მე კი შემთხვევით წიგნის მაღაზიის ფანჯარაში დავინახე საშასთან ერთად. სერიოზული გამომეტყველების ლამაზი ბიჭია, თავის ასაკთან შედარებით ტანადი, ჩემზე სულ რაღაც შვიდი წლით უმცროსი. მხარდამხარ იდგნენ და წიგნებს ათვალიერებდნენ. რარიგ ჰგავდნენ ერთმანეთს, რა მჭიდროდ ეკვროდნენ ერთმანეთს მხრებით!

მე მაშინვე გავიქეცი, მაგრამ ეს წამიერი შეხვედრა მეხსიერებიდან არ იშლებოდა. მე უკვე სერგეიში ველარ ვხედავდი მარტო ჩემს

საყვარელ ადამიანს — ის იყო აგრეთვე იმ მაღალი ბიჭის მამა. კაჟიშვილის სიყვარულს ჰქონდა თავისი მძლავრი უფლება მამაზე, რომლის წინაშეც მე არარა ვიყავი. მე ვნახე ის თვალები, იმ თვალებით შევხედე ჩემს თავს. ისინი მე მამტყუნებდნენ.

და ერთხელ კიდევ დავიჭირე სერგეი ტყუილში: ვოლგაზე ჩვენს გამგზავრებას სულ აჭიანურებდა და აჭიანურებდა. შვებულება დაიწყო, ის კი იმიზეზებდა, რომ რაღაც ანგარიში არ ჰქონდა დამთავრებული. და ბოლოს მაინც მითხრა: „თვრამეტში, დღის ორ საათზე ოლღა საავადმყოფოდან უნდა გამოეწეროსო...“.

აი, თურმე რაში ყოფილა საქმე! იგი თავს მოვალედ თვლიდა მას შეხვედროდა! დაუყოვნებლივ მოვითხოვე გამგზავრება. სერგეის წავუყენე ულტიმატუმი: თუ ოლღას შესახვედრად წახვალ, მე ვეღარასოდეს მნახავ-მეთქი. სიტყვა მომცა, არ წავალო!

რამ მაიძულა მენახა ის ქალი, რომელსაც მხოლოდ ფოტოსურათით ვიცნობდი? ახლა ეს ჩემთვის გასაგებია. ხოლო მაშინ უბრალოდ, რაღაც აუხსნელ გრძნობას მივყავდი იქით.

სერგეიმ სიტყვა შეასრულა: არ მოვიდა ცოლის შესახვედრად. ოლღა საავადმყოფოს ჭიშკრიდან გამოვიდა, ძალზე გამხდარი, ფერმკრთალი იყო. უმწეოდ იხედებოდა აქეთ-იქით.

უცებ მწვავე სიბრალულმა მიჩხვლიტა გულში. მისი მთელი ტანჯვა ხომ ჩემგან იყო გამოწვეული. ეს მე, გომბიო, ვარ ყველაფრის მიზეზი!

საშამ ქოშინით მიირბინა მასთან, პალტო გახსნოდა, კისერზე უჯრედებიანი მოლურჯო-ნაცრისფერი შარფი მოეგდო. ის, ალბათ, მამის ლოდინში დაყოვნდა სახლში. დედა და შვილი ქუჩაში მიდიოდნენ. ქალი უბედურების სიმძიმისაგან მოხრილიყო. შვილი მთელი ძალღონით ცდილობდა მხარში ამოსდგომოდა დედას. მიელო ისეთი კაცის სახე, რომლისთვისაც ყველაფერი იოლია.

მაშინ მოხდა სწორედ ის, რაზეც მე არ შემეძლო მეამბნა დისპუტზე. მივხვდი: ჩვენს შორის, ქალებს შორის, არის რაღაც ისეთი, რაც შეიძლება გახდეს უფრო ძლიერი, ვიდრე მამაკაცის შეყვარება, მეტოქეობაზე ძლიერი, — ეს ქალური სიბრალულია, სხვისი მწუხარების თანაგრძნობა. და იმასაც მივხვდი, რომ ისეთი ადამიანი, როგორიც სერგეია, ყოველთვის უნდა იტანჯოს სინდისის ქენჯნით, და ბედნიერები არ ვიქნებით არც ის და არც მე. თავიდანვე მტანჯავდა ეჭვი და ახლა ოლღას მიმართ ისეთი ტკივილი ვიგრძენი, თითქოს მის ადგილზე ვიყავი, თითქოს ოლღად ვიქეცი.

შინ გავიქეცი. სწრაფად შევაგროვე სერგეის წერილები, მისი სურათები და საჩუქრები, რათა მისთვის უკან გამეგზავნა. მაგრამ გავიდა ერთი საათი და თავი შევიკავე: სერგეი უკვე ნავმისადგომთან იყო. მიცდიდა! ოღონდ ვნახო, ვნახო, თუნდ ერთხელ კიდევ ვნახო!

...სერგეი ჩემოდნით ხელში ტრაპთან იდგა. ისე აღელვებული იყო, რომ ვერც კი შემამჩნია. გავიფიქრე: „ის არ წავიდა მასთან, მაშასადამე, ვუყვარვარ“. მაგრამ ამ ფიქრს სიხარული არ მოუტანია. სიხარული მომავლისა საერთოდ აღარ იყო — იყო მხოლოდ სიცარიელე. მასთან მივედი და ხმადაბლა ვუთხარი: „შინ წადი, იქ გელოდებიან!“

მადლობა, დიახ, სწორედ მადლობა წავიკითხე მის სახეზე! თითქოს მან შეწყალების ამბავი გაიგო, თითქოს მას დიდი ხანია, რაც ეს სურდა, მაგრამ არ შეეძლო გადაეწყვიტა, და ახლა ის ბედნიერი იყო, რომ მის მაგივრად სხვამ გადაწყვიტა.

ის, მგონი, მეუბნებოდა, დაბრუნება არ შემიძლია, ჩემს ცხოვრებას უშენოდ აზრი არ ექნებაო. მაგრამ სწორედ მადლობის ის წუთიერი გამომეტყველება იყო ჭეშმარიტი, ეს კი — ისე... მე კი ეს ვიცოდი, და მას უკვე ხელით ვუბიძგებდი რომელიღაც ავტობუსში.

...ჩვენ სამუდამოდ დავშორდით ერთმანეთს; მეორე დღეს ჩემი სურვილით გავნთავისუფლდი წარმოებიდან, სადაც ჩვენ ერთად ვმუშაობდით“.

...ასე მთავრდებოდა ვალიას წერილი.

ჩემთვის ეს წერილი ძვირფასია. ხშირად გადავიკითხავ ხოლმე. მასში ქალის გულის ჭეშმარიტი კეთილშობილებაა, ცოცხალი გულისა. რომელსაც შეუძლია შეცდეს, რომელიც ყოველთვის არ ეთანხმება აბსტრაქტულ, თუმცა სწორ პრინციპებს, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში ერთგულია სიკეთის კანონისა.

თარგმნა ნინო თოფჩიშვილმა

„რაბოტნიცა“, №4, 1971 წ.



# გული დედისა

ჩაის პლანტაციაში მიილია სამუშაო დღე. მარიამ მირცხულავას სახელზე ბრიგადის ხელმძღვანელმა სამი დღის ნორმა ჩაიწერა. მარიამი სიხარულით გაეშურა შინისაკენ. ბინდდებოდა. შორიდან კვლავ მოისმოდა ტრაქტორის გუგუნი.

„დედა ენაცვალოს თამაზს, მანამ არ მოეშვება, სანამ გულს არ იჯერებს, მკლავში ღონე ერჩის, შრომა უყვარს და საქმეც ულეველი აქვს. ჩაის პლანტაციაში ხომ ზამთარ-ზაფხულ სამუშაოა; მერე კიდევ — ვაზი, ხეხილი, ტუნგო, სიმინდი, სოია, მეცხოველეობა... ხან სახნავია, ხან სათესი, გადასატან-გადმოსატანია ათასნაირი ტვირთი, მექანიზატორს კი უამრავი სამუშაო აქვს. გოგონები, ალბათ, დაბრუნდნენ პლანტაციიდან“, — გაიფიქრა მარიამმა და ახლა დანარჩენებს გადასწვდა მისი ფიქრი. დედას საფიქრალსა და საზრუნავს რა გამოულევს. მით უმეტეს — მარიამს, ამდენი შვილის პატრონს.

მარიამმა და გიორგი მირცხულავებმა 14 შვილი — 7 ქალი და 7 ვაჟი აღუზარდეს სამშობლოს. 22 შვილიშვილიც ჰყავთ. ზღვა სიხარულია ოჯახში. აბა ნახეთ, 30-40 კაცი სუფრას რომ მიუსხდება, ან საქმეს რომ შეუტევს, რა დაუდგებათ წინ?

მირცხულავების ბრიგადა მთასაც კი შესძრავსო, — ამბობენ კოლმეურნეობაში.

მარიამმა და გიორგიმ შვილებს შრომა შეაყვარეს. უფროსმა ქალიშვილებმა: ნელიმ, ზაირამ და ზემფირამ საკუთარი ოჯახები შექმნეს და გამრჯე ქალები დადგნენ, შინ და გარეთ სწვდებიან საქმეს; ქმარშვილსაც უვლიან და კოლმეურნეობაშიც

მუყაითად შრომობენ. გივი, იური, თამაზი, აპოლონი, ვენერა, ალიოშა შრომისმოყვარეობითა და საქმისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულებით გამოირჩევიან, ლიანა, იროდი, ავთანდილი, ეთერი და მარინე სკოლაში დადიან, ბეჯითად სწავლობენ და თავისუფალ დროს კოლმეურნეობაში დედ-მამის მხარდამხარ მუშაობენ.

—ბედნიერია მირცხულავების ოჯახი, — გვითხრა ფოცხოს კოლმეურნეობის თავმჯდომარემ შ. დემურიამ. — დიდი და პატარა ყველა შრომისმოყვარეა. შრომამ შეუქმნა მათ დოვლათი და ბარაქა. 1970 წელს მირცხულავებმა შრომადღეებზე 3.517 მანეთი მიიღეს. გაცილებით მეტი ერგოთ 1971 წელს. შეძლებულად ცხოვრობენ. სახლი ლაზათიანად აქვთ მოწყობილი. არ აკლიათ შინაური ცხოველი თუ ფრინველი. სამოსახლო ნაკვეთი წალკოტად აქვთ გადაქცეული. ღვინოც საკუთარი მარჯვენით აქვთ მოწეული და ხილიც.

ფოცხო ულამაზესი სოფელია ცხაკაიას რაიონში. კიდევ უფრო დაამშვენეს და გაალამაზეს იგი შრომისმოყვარე ადამიანებმა. საბჭოთა ხელისუფლების წლებში არნახული ტემპით გაიზარდა სოფელი. აქ არის ეკონომიურად ძლიერი ორი კოლმეურნეობა, ორი საშუალო და დაწყებითი სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო, კეთილმოწყობილი გზები. სოფელი მთლიანად ელექტრო და რადიოფიცირებულია. დამკვიდრდა ტელევიზია და გაზქურა.

წინათ ყველაზე მეტ გაჭირვებას მრავალშვილიანი ოჯახები განიცდიდნენ. ახლა კი ბედნიერება ყველაზე სრულად ამ ოჯახებშია დამკვიდრებული. ჭეშმარიტად ბედნიერები არიან 14 შვილის მშობლები, მარიამ და გიორგი მირცხულავები.

იყოს მშვიდობა და სიხარული ყველა ოჯახში, დაილოცოს დედის მადლი, იმრავლოს ბედნიერი ცხოვრების შემოქმედმა ხალხმა!

ს. კუზაშა

# შეხვედრა ჟენევაში

900-იან წლებში გორელი ახალგაზრდობა გატაცებით ჩაება რევოლუციურ მოძრაობაში. რევოლუციურად განწყობილი ახალგაზრდები მონაწილეობდნენ არალეგალურ წრეებში. თავისი აქტიურობით გამოირჩეოდნენ გორის ქალთა პროგიმნაზიის მოსწავლეები: თამარ აბუაშვილი, მაშო კაპანაძე, მარიამ ჯულაბაშვილი, სტუდენტები: დ. შელიქიშვილი, ნ. ჯულაბაშვილი, კ. დონდაროვი, ვ. თევზიევი და გორის საოსტატო სემინარიის დარაჯის ქალიშვილი სოფიო ტეტიაშვილი.

არალეგალური წრეები მურადოვის ბინაზე მუშაობდნენ. სახლს ორი სათადარიგო შესასვლელი ჰქონდა. ერთი მათგანი ფარული კიბით გორის ციხეს უკავშირდებოდა, მეორე კი დახურულ ბაზარში, სახელოსნოებთან გადიოდა, სადაც უამრავი ხელოსანი ტრიალებდა. ამ შენობის სარდაფში იკრიბებოდნენ და აწყობდნენ კრებებს გორელი რევოლუციონერები. არალეგალური წრეები ხელმძღვანელებისაგან იღებდნენ სხვადასხვა დავალებებს. ავრცელებდნენ არალეგალურ ლიტერატურას. კავშირს ამყარებდნენ პოლიტიკურ პატიმრებთან. მარიამ ჯულაბაშვილი გორის გარნიზონის ჯარისკაცებს შორის პროპაგანდისტული საქმიანობით რევოლუციურ სულისკვეთებას აღვივებდა.

1905 წლის მარტში გორში მოეწყო პიტერში მუშების დახვრეტის საწინააღმდეგოდ საპროტესტო დემონსტრაცია, რომელსაც რევოლუციის იატაკქვეშა კომიტეტი ხელმძღვანელობდა. დემონსტრაციის მომზადებასა და მსვლელობაში აქტიურად მონაწილეობდნენ მარიამ და ნიკოლოზ ჯულაბაშვილები.

პოლიცია დემონსტრანტებს ცეცხლითა და მახვილით გაუსწორდა. დემონსტრაციას რამდენიმე კაცი შეეწირა. მათი დაკრძალვა ახალ დიდ დემონსტრაციად იქცა, რომელშიც გორის, ხაშურის, ცხინვალის მაზრების მშრომელები მონაწილეობდნენ. 1906-1909 წლებში რეპრესიები მძვინვარებდა. ცარიზმი თავისუფლების ამაყი სულის ჩახშობას ციხეებითა და ჯურღმულებით ცდილობდა. მრავალი რევოლუციონერი ემიგრაციაში გადაიხვეწა. მარიამ ჯულაბაშვილმა შვეიცარიას შეაფარა თავი. აქ, პოლიტიკური ემიგრანტების მხარეში, მარიამი შეხვდა და დაუმეგობრდა მრავალ გამოჩენილ რევოლუციონერს. მაგრამ წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა რევოლუციის დიდი ბელადის ვ. ი. ლენინის გაცნობამ. აი, რას გვიამბობდა ღვაწლმოსილი პედაგოგი მარიამ ჯულაბაშვილი:

„1909 წლის ივნისში ჟენევაში ხმა დაირხა: ვ. ი. ლენინი ჩამოვიდა და დღეს სიტყვით გამოვა სახალხო სახლშიო. იმ დღეს ქართველმა ემიგრანტებმა: მინადორა ტოროშელიძემ, მალაქია ტოროშელიძემ, შაქრო ხიდირბეგიშვილმა, გრიშა ხოფერიამ, საშა მენერმა და სხვებმა თავი შევიყარეთ და ერთად გავწიეთ სახალხო სახლისკენ. სახალხო სახლი ხალხს ვერ იტევდა. ყველას უნდოდა რევოლუციის დიდი ტრიბუნის ნახვა და მოსმენა. ლენინის მოლოდინში მთელი დარბაზი ღელავდა. ზუსტად დანიშნულ დროს დარბაზში ტაშმა დაიგრიალა, ტრიბუნაზე ვ. ი. ლენინი გამოჩნდა, თავმდაბლად მოგვესალმა და მოხსენება დაიწყო. ლენინი ლაპარაკობდა სადად, გასაგებად. თავისი მოსაზრების დასადასტურებლად მრავალ არგუმენტს იშველიებდა, რაც შთამბეჭდავსა და ადვილად დასამახსოვრებელს ხდიდა მის ყოველ სიტყვას. ლენინი ლაპარაკობდა რევოლუციის მიმდინარე საკითხებზე, იატაკქვეშა მუშაობის ფორმებზე, იმ ამოცანებზე, რომლებიც სოციალ-დემოკრატიული პარტიისა და ემიგრანტების წინაშე იდგა.

შეკრების შემდეგ გავიცანი ვ. ი. ლენინი. გაიგო რა ჩემი ჟენევაში ჩასვლის მიზეზი, ლენინი ძალიან დაინტერესდა რუსეთისა და კერძოდ კავკასიის ამბებით. მკითხა როგორ ცხოვრობდა მშრომელი ხალხი იმ ქალაქში, სადაც მე ვმუშაობდი, როგორი იყო განწყობილი გლეხობა რევოლუციისადმი. გამომკითხა ჩვენი წრის მუშაობისა და მსმენელთა დასწრების შესახებ. მასთან საუბრის დროს გავერკვიე ისეთ საკითხებში, რომელიც მაშინ ჯერ კიდევ ბუნდოვნად მქონდა წარმოდგენილი. განსაკუთრებით განმაცვიფრა იმან, რომ ლენინმა დაწვრილებით იცოდა ამიერკავკასიაში რევოლუციური მოძრაობის ამბები, და იცოდა უფრო კარგად, ვიდრე ჩვენ, კავკასიელმა ემიგრანტებმა. შემდეგშიც არაერთხელ შევხვდი და მოვუსმინე ლენინს, მაგრამ ლენინის ერთხელ მოსმენაც კი საკმარისი იყო, რომ გვეგრძნოთ მისი ძალა და უნარი ხალხის, მშრომელთა ფართო მასების დარაზმვისა და რევოლუციურად განწყობისათვის. ჩვენ ლენინის მოსმენის შემდეგ ვიყავით მისი ჭეშმარიტი მოძღვრებით დაპურებულები და თან მიგვყვებოდა თავისუფლებისათვის ბრძოლის უშრეტი ცეცხლი, რომელიც რევოლუციონერის რთულსა და ძნელ გზას შუქურასავით გვინათებდა".

მ. მათითაშვილი

გარეკანის პირველ გვერდზე — საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე, გმირი კოსმონავტი ვ. ტერეშკოვა, ფოტო ვ. ვოლოდკინისა; მეოთხე გვერდზე — საქართველოს სსრ დამსახურებული მხატვარი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი ი. ოჩიაური. ფოტო ო. თურქიასი.

რედაქტორი მარიკა ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. ბურბენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე, თ. ლაშქარაშვილი, ვ. ხირაძე, ძ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი, ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. ჭერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ი. ჩოფიკაშვილი კორექტორი ნ. ბუკია

საქ. კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის — 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის — 93-98-54. გადაეცა ასაწყობად 19/I-72 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 22/II-72 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 123.260. შეკვ. 221 უე 01754. ფასი 30 კაპ.



# ირაკლი ოჩიაური



## ვულოცავთ

ქართველ ხელოვანს ირაკლი ოჩიაურს სახელმწიფო პრემია მიენიჭა. ეს მეტად სასიხარულო ამბავია ყველასთვის, ვისაც უყვარს ჩვენი ხელოვნება, მხატვრობა; ირაკლი ოჩიაური ხომ ის ოსტატია, ვინც შორს გაიტანა ჩვენი ქართული ჭედურობის სახელი. მან ერთმა პირველთაგანმა დაუბრუნა სიცოცხლე და აალორძინა წარსულის ტრადიცია — ბექა და ბეშქენ ოპიზარებისა.

ირაკლი ოჩიაურმა შეაყვარა და თანაბრად გასაგები გახადა ეს ხელოვნება ჩვენი ქვეყნის ყველა ხალხისათვის. ამიტომაც ვულოცავთ სახელმწიფო პრემიის ლაურეატის საპატიო სახელს ქართული ჭედურობის გამოჩენილ ოსტატს — ირაკლი ოჩიაურს.



б 86/53



ИНДЕКС 76178